გაზეთი ზევრის, „ვერსიას" ერთი

# ვერსია

№19 (1660) 31 მაისი — 6 ივნისი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

## გაძვირდება თუ არა პური

რატომ დაწესდა ფქვილზე საიმპორტო გადასახადი

# ექსკლუზიური ინტერვიუ ფრონტის წინა ხაზიდან

„ძალიან მალე დაიწყება ნანატრი, დიდი კონტრშეტევა, რომელიც აუცილებლად უკრაინის წარმატებით დამთავრდება“

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

## როგორ გავიდა პოლიცია ირანიდან შემოტანილი 80 კილოგრამ ნარკოტიკის კვალზე

მასშტაბური სპეცოპერაციის დეტალები

## სტატია, რომელიც ყველა რუსეთუმე ქართველმა აუცილებლად უნდა წაიკითხოს!

როგორ შეიქმნა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიები



## პოლიციამ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტში, მიმდინარე წლის 22 მაისს, შევიდა შეტყობინება 2003 წელს დაბადებული გ.ა.-ს გაუჩინარების შესახებ, რის საფუძველზეც პოლიციამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

გამოძიების მსვლელობისას დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 16 მაისს, გ.ა., მეგობრებთან ერთად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, მეგობრის საცხოვრებელ სახლში იმყოფებოდა.

ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 2003 წელს დაბადებულმა ა.ბ.-მ ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა გ.ა.-ს. მიყენებული დაზიანებების შედეგად, ახალგაზრდა მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. დანაშაულის დაფარვის მიზნით, ბრალდებულმა და 2003 წელს დაბადებულ ა.ა.-მ, გ.ა.-ს ცხედარი ავტომობილის საბარგულში მოათავსეს და სოფლიდან მოშორებით, ტყის პირას დამარხეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ა.ა. დანაშაულის დაფარვის ბრალდებით, მომხდარიდან რამდენიმე დღეში დააკავეს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ გ.ა.-ს მკვლელობის ფაქტს შეესწრნენ: 2003 წელს დაბადებული დ.მ. და ამავე წელს დაბადებული ლ.ჯ., თუმცა პოლიციას მომხდარი დანაშაულის შესახებ არ შეატყობინეს. სამართალდამცველებმა ორივე პირი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დააკავეს.

გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ მკვლელობის ჩამდენმა პირმა, 2003 წელს დაბადებულმა ა.ბ.-მ, 19 მაისს, გ.ა.-ს გაუჩინარების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინების შესვლამდე, ქვეყანა დატოვა.

სამართალდამცველების მიერ აღნიშნულ პირს, მკვლელობის ფაქტზე ბრალი დაუსწრებლად წარედგინება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 375– მუხლის მე-2 და 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას და დაფარვას გულისხმობს.

## პოლიციამ ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციისა და კახეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული გ.ს. და 1996 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი უ.ბ. ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის ინვარში, ნაცნობი, 1997 წელს დაბადებული გ.მ., ქალაქ რუსთავიდან გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, გ.ს.-ს სახლში წაიყვანეს. ბრალდებულებმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტისას გ.მ. მოკლეს, რის შემდეგაც, კვალის დაფარვის მიზნით, ცხედარი სოფლის მოშორებით, ჭაში ჩააგდეს, ჭა ქვებითა და ბეტონით ამოავსეს.

სამართალდამცველებისთვის გ.მ.-ს გაუჩინარების შესახებ ცნობილი მიმდინარე წლის 22 მაისს გახდა. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციამ გ.ს. და უ.ბ. ბრალდებულის სახით დააკავა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ბათუმში აღნიშნა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ერთიანი საზეიმო ღონისძიების ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოქალაქეებს ბათუმში, ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე უმასპინძლა.

ღონისძიება, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა, 14:00 საათიდან დაიწყო. ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მიერ წარმოდგენილი იქნა საინფორმაციო და საგამოფენო სტენდები, ასევე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეცტექნიკა, აღჭურვილობა და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი. ღონისძიების ფარგლებში, ბავშვებისთვის არაერთი თემატური საინფორმაციო-შემეცნებითი აქტივობა გაიმართა, მოეწყო გასართობი სივრცეები.

17:10 საათზე, ზუსტად იმ დროს, როდესაც 1918 წელს, ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, გაჟღერდა საქართველოს ჰიმნი.

ღონისძიება საღამოს კონცერტით დასრულდა.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფოთის პორტში 80 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღო – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურისა და ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ირანის მოქალაქე – 1961 წელს დაბადებული ბ.ტ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის და შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისისა და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ერთობლივი პროექტის – კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, ფოთის პორტში გამოავლინეს რისკის შემცველი სატვირთო ავტომობილი, რომელსაც ბრალდებული მართავდა. ავტომობილის ჩხრეკისას, მისაბმელის უკანა ორ კარში, სპეციალურად მოწყობილი სამალავიდან – 315 შეკვრად დაფასოებული, 80 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულს, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეს განზრახული ჰქონდა ირანიდან სომხეთისა და საქართველოს გავლით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების ევროპაში გადაზიდვა, აღნიშნულის განხორციელებას ის საქართველოს ერთ-ერთი საზღვაო პორტის გავლით ცდილობდა, რა დროსაც იგი დაკავებული იქნა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 262-ე მუხლებით მიმდინარეობს.

როგორც მოგეხსენებათ, შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ ქვეყნებთან ტრანსნაციონალურ და ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის ნათელი მაგალითია გასულ თვეში ჩატარებული ერთობლივი საპოლიციო ღონისძიება ბელგიელ და ჰოლანდიელ კოლეგებთან ერთად, რომლის ფარგლებშიც, ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ბელგიის სამეფოში, კერძოდ, ანტვერპენის პორტში ორ ეტაპად ამოღებული იქნა უპრეცედენტო რაოდენობის – 1 ტონა და 660 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

# სტატია, რომელიც ყველა რუსეთუმე ქართველმა აუცილებლად უნდა წაიკითხოს!

ვანო პავლიაშვილი

## როგორ შეიქმნა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიები

... ბათუმის ზღვა ავისმომასწავებლად მშვიდია...
სანაპიროზე ქალი დგას და უსასრულობას მიშტერებია...
ეს ქალი აფხაზია – მარი შამბა...
მარი სოხუმში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ 20 წელზე მეტია, მშობლიური ქალაქი არ უნახავს. არა, იქაურობა ენატრება, მაგრამ იცის, გაპარტახებული სოხუმი გულს მოუკლავს. ამიტომაც, არ ჩადის...
ომის შემდეგ, თბილისში რამდენჯერმე ჩამოვიდა... რამდენიმე წლის წინ, ქართველი კაცი შეუყვარდა – მერაბ ბლადაძე, მოსკოვში ყველაფერი მიატოვა და ბათუმში გადმოსახლდა...
– მარი, ზღვას ელაპარაკები? – ვეკითხები.
– ჰო, – თავს მიქნევს.
– სოხუმზე?
– არ გეტყვი, – იღიმის აფხაზი ქალი და საუბრის თემას ცვლის, – სოხუმში ეროვნება არ არსებობდა. ჩემ კლასში ქართველებიც სწავლობდნენ, აფხაზებიც, ბერძნებიც, სომხებიც, რუსებიც, მაგრამ ჩვენ, ყველანი „სოხუმჩანები“ ვიყავით, – ამოიოხრა შამბას ქალმა, – მგონია, რომ ომი არც რუსებს უნდოდათ.
– აბა, ომი ვის უნდოდა? – ჩავეძიე.
მარიმ ხმა აღარ გამცა, უსასრულობას მზერა მოსწყვიტა, ზღვას ზურგი აქცია და გეზი ბულვარისკენ აიღო...
ამ ზღვის გაღმა აფხაზეთია, ძირძველი ქართული მიწა, მიწა, რომლის გამოც ერთმორწმუნე „დიდმა ძმამ“ ჯვარზე გაგვაკრა... დღეს იქ, სოხუმში, ჩვენ, ქართველებს არ გვიშვებენ... აფხაზეთის წართმევაში ლომის წვლილი ქართველებსაც მიუძღვით. არა, ეს პათეტიკური ნათქვამი კი არა, რეალობაა, რეალობა, რომლისთვისაც თვალის გასწორება არ გვსიამოვნებს, მაგრამ სჯობს, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და ვთქვათ, რომ აფხაზეთსა და იგივე სამაჩაბლოში ბომბი, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში აფეთქდა, თავის დროზე, სწორედ ქართველების ხელით ჩაიდო. როგორ? რანაირად? – ამ კითხვებზე პასუხი ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ნათქვამია, განმეორება ცოდნის დედააო. ჰოდა, „ვერსიაც“, ისტორიულ და საარქივო მასალებზე დაყრდნობით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ანუ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ X-ფაილს ადგენს.
ისე, ცოდვა გამხელილი სჯობსო და, ეს ის შემთხვევაა, როცა პოლიტიკურ ღმერთებსა და პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილ ანგელოზებს ბრალს ვერაფერში დავდებთ. ყველაფერი ოდესღაც სამოთხიდან განდევნილი ევასა და ადამის შთამომავალთა ადამიანური ვნებების ბრალია. დიახ, აფხაზეთისთვის ავტონომიური რესპუბლიკის, სამაჩაბლოსთვის კი ავტონომოური ოლქის სტატუსის მინიჭება მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოლიტიკური მავნებლობა და გველობა გახლდათ, რომელიც იოსებ ბესარიონის ძე სტალინს მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდა, რომ დიდ რუსეთში თავი ემიგრანტად არ ეგრძნო!
ახლა, ძალიან გთხოვთ, მართლმორწმუნე სტალინელები თავს ნუ გამოიდებთ და გორელი სოსელოს ადვოკატობას ნუ დაიწყებთ, მით უმეტეს, რომ „ვერსია“ გორელი მეწაღის ვაჟს კი არ ასამართლებს, არამედ, ისტორიულ ექსკურსს აკეთებს და, დოკუმენტებზე დაყრდნობით, სიმართლეს კიდევ ერთხელ ამბობს!
მაშ, ასე: ქალბატონებო და ბატონებო, სისხლიანი დროის მანქანა დაქოქილია. ჩვენ წარსულში მოგზაურობას ვიწყებთ!

### აფხაზეთის საკითხის ლენინური გადაწყვეტა

„აფხაზეთის საქართველოსგან განუყოფლობა ოფიციალურად ჯერ კიდევ 1921 წლის 21 თებერვალს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით დამტკიცდა. იმავე წლის მარტში, საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის პერიოდში, ბოლშევიკებმა აფხაზეთი ოფიციალურად გამოაცხადეს დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, საერთაშორისო სამართლის სრული დარღვევით. ეს ის „დამოუკიდებლობა“ იყო, რომელიც მოგვიანებით, თავად აფხაზთა ლიდერების მხრიდანაც იქნა უარყოფილი, 1992 წლის ივლისში კი, არძინბას რეჟიმმა ყველაფერი ეს, რუსეთის მიერ დაკვეთილი ინსტრუქციების აღსასრულებლად გამოიყენა... არადა, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ნაციონალური დაპირისპირების ხასიათი 1918-21 წლების დამოუკიდებელ საქართველოშიც არ მიუღია. აფხაზთა ეთნოსს გარეშე სახელმწიფოები აღნიშნული კუთხის საქართველოსგან ჩამოცილებისთვის მხოლოდ საბაბად იყენებდნენ. ასე იყო 1918 წლის ივნისში, როდესაც აფხაზთა გლეხებისა და მუშების ე.წ. „სოლიდარობის“ მიზნით, საბჭოთა რუსეთმა აფხაზეთში ორიათასკაციანი საოკუპაციო ჯარი შეიყვანა, თუმცა საქართველოს იმდრონდელი მთავრობისა და გენერალ გიორგი მაზნიაშვილის დამსახურებით, „დაუპატიჟებელი სტუმრები“ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან მალევე იქნენ გაძევებულნი. იმავე წელს, იმავე აფხაზი ხალხის დახმარების საბაბით, მთელ აფხაზეთში უკვე თურქეთის რვაასკაციანი დესანტი იქნა გადასხმული, მაგრამ გენერალ მაზნიაშვილისა და პოლკოვნიკ თუხარელის აქტიური ძალისხმევით, ოკუპანტები კვლავაც დამარცხდნენ და აფხაზეთი დატოვეს. 1919 წლის თებერვალ-მარტში, ე. წ. „თეთრი რუსეთის“ მოხალისეთა არმიაც შეეცადა, შეჭრილიყო აფხაზეთში გენერალ დენიკინის სარდლობით. ქართული ჯარები თავდაპირველად დამარცხდნენ და გაგრის ოლქი დატოვეს, თუმცა მოგვიანებით, საბჭოელების მიერ, თვით დენიკინისა და მისი არმიის განადგურების შემდეგ, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, გაგრა საქართველოს ფარგლებში იქნა დაბრუნებული“.

1921 წლის თებერვალია... საქართველოს წითელი კალიები შემოესევიან... იუნკრები მშობლიურ მიწა-წყალს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავენ, მაგრამ... წითელი კალიების ურდო მრავალრიცხოვანია და... თბილისის თავზე ბოლშევიკური დროშა ფრიალებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო საბჭოთა რუსეთის მიერაა ოკუპირებული... 1921 წლის მარტში, რუსული ხიშტით ზურგგამაგრებული აფხაზი ბოლშევიკები აფხაზეთს დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად აცხადებენ, რომელიც მათივე მოთხოვნით, რუსეთის ფედერაციაში უნდა შევიდეს. მანამდე, კერძოდ, 1921 წლის 10 თებერვალს კი, გაზეთ „პრავდაში“ სტალინის წერილი ქვეყნდება, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოსები, აფხაზები და სომხები იჩაგრებიან. ამასთან, იოსებ ბესარიონის ძე მიუთითებს, რომ საქართველო თავის ტერიტორიებს მეზობელი სომხეთისა და თურქეთის ხარჯზე აფართოებს. „ამიტომ, ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, აღდგეს მათი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი“, – ქადაგებს სტალინი და მას კვერს სერგო ორჯონიკიძეც უკრავს, რომლის ხელმძღვანელობითაც, 1921 წლის 28-29 მარტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ბათუმში, აფხაზეთის რევკომის ლიდერებს – ეშბას და ლაკობას შეხვდებიან. ამ შეხვედრაზე საგანგებო დადგენილებას მიიღებენ და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებას მოიწონებენ. 1921 წლის 21 მაისს, საბჭოთა საქართველოს მთავრობა, რომელსაც ფილიპე მახარაძე მეთაურობს, აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“ აღიარებს და... ამის შემდეგ, მთელი ათი წლის განმავლობაში, ანუ 1921-დან 1931 წლამდე, აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იწოდება. მაშასადამე, წითელ საქართველოში ოფიციალურად ორი, იმდროინდელი ტერმინი რომ გამოვიყენოთ, თანაბარუფლებიანი რესპუბლიკა ჩამოყალიბდება, რაც აპრიორი, პოლიტიკური და სამართლებრივი ნონსენსია.

„საბედნიეროდ, ამ დანაშაულს მალევე მიხვდნენ თავად ქართველი კომუნისტები. თუ თავიანთი ქვეყნის ერთიანობა სურდათ, აფხაზეთი კვლავინდებურად უნდა დაეკავშირებინათ საქართველოსთვის. თუ ეს მოხდებოდა, საქართველო-აფხაზეთის სახელმწიფოებრივი კავშირის ფორმაც გამოსაძებნი იქნებოდა. აფხაზეთი ხომ უკვე დამოუკიდებელ რესპუბლიკად იყო გამოცხადებული და ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს ვინღა აკადრებდა. სხვა რა გზა უნდა გამოენახათ, ფედერაცია? კონფედერაცია? საბოლოოდ, შეჩერდნენ „სახელშეკრულებო“ რესპუბლიკაზე. აღნიშნული აზრი მალე თვით აფხაზი ხელმძღვანელების მიერაც იქნა მოწონებული, რაც მთელი რიგი სუბიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. კერძოდ, თუ აფხაზეთი რუსეთის ფედერაციაში შესვლას დაჟინებით მოითხოვდა, საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში მას მხოლოდ ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭებას ჰპირდებოდნენ. ქართული მხარე კი საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში მას ფედერაციის სტატუსს სთავაზობდა, რაც ორი საფეხურით მაღალი იყო, ვიდრე რუსული მხარის შეთავაზებული პირობები“, – ნათქვამია ბაჩო ალვანელის სტატიაში, რომელიც 2005 წლის 11 ნოემბრით თარიღდება.

ყველაფერ ამის პარალელურად, დღის წესრიგში ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის გაერთიანების საკითხი დგება, თუმცა აფხაზური მხარე კატეგორიულად მოითხოვს, რომ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ამ გაერთიანებაში საქართველოს გვერდის ავლით, ესე იგი, მეოთხე წევრად შევიდეს, მაგრამ ამ მოთხოვნას რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიურო აიგნორებს და გამოდის ინიციატივით, რომ საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა აფხაზეთის რესპუბლიკებს შორის სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური ხელშეკრულება დაიდოს, რომლის მიხედვითაც, ამ ორი რესპუბლიკის სამხედრო, საფინანსო, სოფლის მეურნეობის, ფოსტა-ტელეგრაფის, იუსტიციის სამინისტროები და სხვა უწყებები გაერთანდებიან. კომპარტიის ამიერკავკასიის ბიუროს ეს ინიციატივა ძალაში 1921 წლის 16 დეკემბერის დადგენილებით შედის. მოგვიანებით, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა შეიქნება, რომელშიც საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი წევრიანდებიან. ამავე რესპუბლიკაში აფხაზეთიც საქართველოსთან ერთად შედის და... საქართველოს რევკომი აფხაზეთის რევკომს თავისი ადგილების ერთი მესამედის უთმობს.

1922 წლის 2 მარტს, საქართველო-აფხაზეთის ეს გაერთიანება ოფიციალურად საქართველოს სსრ კონსტიტუციაშიც დაფიქსირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში აფხაზეთი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისგან განსხვავებით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსით შედის. სხვათა შორის, სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკადაა მოხსენიებული. საბჭოთა რუსეთს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში – საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში თავისი წარმომადგენლები ჰყავდა. ასევე, თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ ამ რესპუბლიკებს რუსეთში. რუსეთსა და აფხაზებს შორის კი წარმომადგენლების გაცვლა არ მომხდარა...

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# სტატია, რომელიც ყველა რუსეთუმე ქართველმა აუცილებლად უნდა წაიკითხოს!

[illegible]დ, 1921 წლის მარტში, აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. მერე, დრო რომ გავა, ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა, რომლებიც აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისათვის ბრძოლის მეთაურებად მოგვევლინებიან, ამ ფაქტს დროებით მოვლენას უწოდებენ...

1931 წელს, აფხაზეთის „სახელშეკრულებო" რესპუბლიკა საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპულიკად ოფიციალურად გარდაიქმნება.

**„ეს სტალინისა და ბერიას მიერ, აფხაზეთის საკითხის ლენინური გადაწყვეტის წინააღმდეგ გალაშქრება კი არა, არამედ, წინათ დაშვებული შეცდომის დიდი გამოსწორება იყო. ამას აფხაზეთის მოსახლეობის პროტესტი არ მოჰყოლია",** – ნათქვამია ბაჩო ალვანელის სტატიაში.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური დემონების მიზანმა საშუალება გაამართლა – საქართველოს ისტორიულ მიწაზე წითელი ნაღმი ჩაიმარხა, რომელიც ზუსტად 60 წლის შემდეგ ანუ 90-იანი წლების დასაწყისში გააქტიურდება და... უნდობარი ხანი უხვად მოიტანს სისხლსა და ცრემლებს... ომი, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში ძმათამკვლელის სახელით შევა, 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყება. ისე, წლების განმავლობაში, ამ ომს რატომღაც ქართულ-აფხაზურ ომს ვეძახდით, არადა, იმთავითვე ნათელი იყო, რომ ეს სისხლიანი კონფლიქტი ჩრდილოეთის კისერზეა! დიახ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომები კრემლის წაფითილებით დაიწყო ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, სოხუმსა და ცხინვალში სეპარატისტულ მოძრაობებს საფუძველი ჯერ კიდევ საუკუნის წინ, სწორედ რუსმა და გარუსებულმა ქართველმა ბოლშევიკებმა ჩაუყარეს და... ამასობაში 1992 წლის 14 აგვისტოც დადგება.

ქართულ „ვიკიპედიაში" ვკითხულობთ:

**„1992 წლის 14 აგვისტოს, დილის შვიდ საათზე, საქართველოს შინაგანი ჯარების კოლონამ ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციული საზღვარი გადაკვეთა. ამის შესახებ ინფორმირებული იყო აფხაზეთის ხელმძღვანელობა და ეს ოპერაცია კომუნიკაციების დაცვას ითვალისწინებდა, თუმცა აშკარა იყო, რომ ამ აქციით სახელმწიფო საბჭო ავტონომიულ რესპუბლიკაში სეპარატიზმის განეიტრალებას ცდილობდა. საქართველოს პოლიციას მიუძღოდა სოხუმის ბატალიონი – სოსო ახალაიას მეთაურობით, რომელიც სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის შემდეგ უბრუნდებოდა დისლოკაციის ადგილს. შემდეგ მიდიოდა შენაერთი თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის, დავით ზეიკიძის მეთაურობით... მეორე შეტაკება გულრიფშის რაიონის დასახლება აგუძერაში მოხდა, რომლის დროსაც განადგურდა ქართველთა ერთი ჯავშანმანქანა. შეტაკება მოხდა აგრეთვე, გულრიფშის რაიონ სოფელ მაჭარასთან, სადაც დაიჭრა ერთი ქართველი და დაიღუპა აფხაზი მებრძოლი... პირველი გასროლა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეისთან მოხდა. კონფლიქტი დაიწყო".**

აფხაზეთის ომამდე კი იყო სამაჩაბლოს ომი და, როგორც აფხაზეთში, სამაჩაბლოშიც ნაღმი წითლებმა ჩადეს.

## როგორ შეიქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

ისტორიული წყაროების თანახმად, 1921 წლის 25 თებერვალს, წითელი არმიის ნაწილები, ორჯონიკიძისა და კიროვის მეთაურობით, თბილისში შემოიჭრებიან, რასაც დემოკრატიული საქართველოს ანექსია და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა მოჰყვება. იმავე წლის 4 მარტს, წითლები აფხაზეთს, 5 მარტს – ცხინვალს, 15 მარტს კი აჭარას აიღებენ. 1922 წელს, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად ორჯონიკიძეს ირჩევენ, რომლის ინიციატივითაც, 1922 წლის 30 აპრილს, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი იქმნება. 1924 წლის 7 ივლისს, ე. წ. სამხრეთ ოსეთის მაგალითზე, რუსეთის ფედერაციის ცეკა-ს დეკრეტით, ჩრდილოეთ კავკასიაში, ასსრ-ს ოსეთის ადმინისტრაციული პროვინციის (ალანიის) ბაზაზე შეიქმნება ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც 1936 წლის 5 დეკემბერს, ასსრ-დ გარდაიქმნება და მის დედაქალაქად ვლადიკავკაზი გამოცხადდება, რომელსაც 1944-1954 წლებში, ხან ორჯონიკიძე ერქმევა, ხან – ძაუჯიყაო.

**„კავკასიონის ქედის სამხრეთით და ჩრდილოეთით განლაგებული ოსეთის ავტონომიური ოლქების შექმნის ფაქტი გახდა მათში მცხოვრები ოსი მოსახლეობის ერთი ნაწილის სეპარატისტული განწყობის ჩამოყალიბების მიზეზი. ამ განწყობას გამიზნულად უწყობდა ხელს და აღვივებდა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მისი სამართალმემკვიდრის, რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურები",** – წერს პროფესორი ალექსი მიქელაძე და საქართველოში ჩასახლებულ ოსი ეროვნების მოსახლეობაზე გენერალ ერმილოვის სიტყვებსაც იშველიებს, რომელიც 1816-1826 წლებში, კავკასიის მთავარსარდალი გახლდათ:

**„საქართველო, კერძოდ, შედგება: ქართლი – ხორბლის წარმოების საგანგებო ოლქი, კახეთი, რომელიც გაყოფილია თელავისა და სიღნაღის მაზრებად, რომელთაგანაც პირველში უხვადაა შესანიშნავი ვენახები, მეორეში ცდილობდნენ ბაღების გაშენებას, აქ აქვთ ვრცელი სახნავ-სათესები. ქართლს მიეკუთვნება ოსების ნაწილი, რომლებიც მთებში ცხოვრობენ. ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყეს მათ ქრისტიანული სარწმუნოების მიღება... მათი წარმატებები ჯერჯერობით ძალიან უმნიშვნელოა, მაგრამ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ, როდესაც მიიღებენ მეტ ნდობას მთავრობისადმი, ანდა მონათვლით მეტ ყურადღებას დაიმსახურებენ, ისინი შეცვლიან თავიანთ მხეცურ ჩვევებს და ქურდობისადმი მიდრეკილებას".**

ოსეთში სეპარატისტული განწყობის შესახებ საუბრობს ოსური ჰუმანიტარული მეცნიერების ე.წ. პატრიარქი აბაევიც:

**„მინდა, ვიყო ობიექტური და შევეცადო, გავერკვე, ხომ არ ყოფილა ოსეთის მხრიდან ისეთი ნაჩქარევი, მოუფიქრებელი მოქმედება, რომელმაც განსაზღვრა ურთიერთდაპირისპირება და მინდა ვაღიარო: ასეთი მოქმედებები არ ყოფილა. მხედველობაში მაქვს მოსკოვზე ორიენტირებული ჩრდილოეთისა და სამხრეთი ოსეთის გამოცხადებული სუვერენიტეტი გაერთიანების პერსპექტივით. სამხრეთოსეთელების სურვილი შეერთებისაკენ, ადამიანური თვალსაზრისით, გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკურად, ეს შეცდომაა. კავკასიის მთავარი ქედი – ეს არის ბუნებრივი საზღვარი საქართველოსა და ოსეთს შორის და ამ საზღვრის დარღვევის ყოველგვარი მცდელობა იწვევს პერმანენტულ კონფლიქტს ქართველებსა და ოსებს შორის".**

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, ოსური ინტელიგენციის წარმომადგენლები გაერო-ს მაშინდელ გენმდივანს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივან გორბაჩოვსა და ასევე, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს კოლექტიური წერილს უგზავნიან, რომელშიც ნათქვამია:

**„საკავშირო პრესა, რადიო და ტელევიზია, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას დაძაბულ, ექსტრემალურ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეიქმნა საქართველოში და კერძოდ, სამაჩაბლოში (მაჩაბლების, ერისთავებისა და ა.შ. ყოფილი მამულები), ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში". ყოველმა საღად მოაზროვნე ოსმა, ვინც საქართველოში ცხოვრობს, იცის, რომ ოს ექსტრემისტებს იარაღით ამარაგებს საბჭოთა არმია. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვაჩვენოთ მსოფლიო საზოგადოებრიობას კბილებამდე შეიარაღებული ოსი ექსტრემისტების ჭეშმარიტი სახე... პირველად, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, გაიმართა არჩევნები უმაღლეს საბჭოში, რაც ემყარებოდა დემოკრატიის პრინციპებს. ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს კეთილი ნების ოსებმა. თითოეული ჩვენგანი დროულად და სწორად მიიჩნევს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმებას, რომელმაც თავი რესპუბლიკად გამოაცხადა... თავისი ბუნებით, ქართველები დიდსულოვნები და მომთმენები არიან, მათთან ყველას შეუძლია მოიპოვოს თავშესაფარი, ყოველ დევნილს, რომელიც გატანჯულია შევიწროებითა და უბედურებით".**

**„ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლიქი შეიქმნა 1922 წლის 30 აპრილს, ქართველებითა და ოსებით დასახლებული შიდა ქართლის მეზობელი რაიონების ხარჯზე, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჯუ – 2.5 წლის შემდეგ, 1924 წლის 7 ივლისს რუსეთის ფედერაციის მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის ოსეთის ადმინისტრაციული პროვინციის – „ალანიის" ბაზაზე. მის დედაქალაქად აღიარეს ჩრდილოეთ კავკასიის დედაქალაქი ვლადიკავკაზი, რომელიც შეიქმნა 1860 წელს, მდინარე თერგის ნაპირზე, საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად აგებულ სამხედრო ციხესთან, სოფელ ძაუჯიყაოს მახლობლად... გასულ საუკუნეში, საქართველოს ოსი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობდა 12-მდე პროვინციაში (რაიონში). საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1922 წლის აპრილში, შიდა ქართლის ოთხი პროვინციის (ზნაურის, ლენინგორის, ჯავისა და ცხინვალის) ხარჯზე, ბოლშევიკებმა ჩამოაყალიბეს ისტორიულად არარსებული ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომოური ოლქი", სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ რუსები, სომხები და ებრაელები.**

**საქართველოს სტატისტიკურ დეპარტამენტში არსებული ინფორმაციის შესაბამისად, მოსახლეობის პირველი საკავშირო აღწერის დროს (1926 წელი), საქართველოში აღრიცხულია ოსი ეროვნების 113 298 მოსახლე, ხოლო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიურ ოლქში – 60 351 მოსახლე (საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის 45%). ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ბოლო აღწერის დროს (1989 წელი), საქართველოსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიურ ოლქში მცხოვრები ოსი მოსახლეობის რიცხოვნობა შესაბამისად შეადგენდა 164 055 და 65 232 სულს ანუ საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის 39.72%-ს. ამრიგად, საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის უმეტესობა აღმოჩნდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" ფარგლებს გარეთ, რასაც თავისთავად მივყავართ აბსურდამდე, რადგან ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" ვერ შეასრულებდა მასზე დაკისრებულ საქართველოში ოსი მოსახლეობის გაერთიანების ფუნქციას. როგორც ჩანს, ბოლშევიკებს წინასწარ ჰქონდათ განზრახული, რომ ამ ორი ავტონომიური ერთეულის – ჩრდილოეთ და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" სხვადასხვა ქვეყნებში არსებობის შემთხვევაში, შეიძლება დასმულიყო ამ რეგიონების გაერთიანების საკითხი, რაც, ბუნებრივია, შექმნიდა პრობლემებს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთვის. პრაქტიკულად, ასეც მოხდა",** – წერს პროფესორი ალექსი მიქელაძე და უინსტონ ჩერჩილის მიერ, 1939 წლის 1 ოქტომბერს, „ბი ბი სი"-ს რადიოეთერში ნათქვამს იხსენებს:

**„არ შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, თუ რას უნდა მოველოდეთ რუსეთისაგან. რუსეთი – ეს გამოცანაა, გამოხვეული გამოცანაში, განთავსებული გამოცანის შიგნით".**

## რა ხდება დღეს

მაშინ, როცა ჩერჩილი ამ სიტყვებს ამბობდა, რუსეთის ჩანაფიქრის გამოცნობა, შეიძლება, რთული იყო, მაგრამ დღეს, 21-ე საუკუნეში, ყველაფერი ნათელია: სხვა თუ არაფერი, 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის ფონზე, კრემლმა, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა" აღიარა... ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, მინიმუმ, გასაკვირია, ვიღაცებს რუსეთი ისევ მოყვარე რომ ჰგონიათ და იგივე ფრენების აღდგენასა, თუ უვიზო რეჟიმის შემოღებას ზარ-ზეიმით მიესალმება. „ვერსიამ" ეს სტატიაც არქივიდან იმიტომ ამოიღო, რომ ქართველმა რუსეთუმეებმა ყური გამოიბერტყონ და ოკუპანტს „ბაბაია" აღარ დაუძახონ!

# ექსკლუზიური ინტერვიუ ფრონტის წინა ხაზიდან



## „ძალიან მალე დაიწყება ნანატრი, დიდი კონტრშეტევა, რომელიც აუცილებლად უკრაინის წარმატებით დამთავრდება“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

**უკრაინაში იმყოფება „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა დიაროვი, რომელთანაც „ვერსიამ“ ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა:**

– კიევში, დაახლოებით, ათის დღის წინ ჩამოვედი. ალბათ, გახსოვთ, უკრაინაში მაშინაც ვიყავი, როცა ომი დაიწყო. აქ უამრავი მეგობარი მყავს, ქართველებიც და უკრაინელებიც. მინდოდა, ჩემი თვალით მენახა ეს ხალხი და პირადად გავცნობოდი, როგორ ცხოვრობენ, რა უჭირთ და ულხინთ... ასევე, მინდოდა, ქართულ ლეგიონში მოვსულიყავი, ბიჭები მომენახულებინა და ახლა სწორედ აქ ვიმყოფები.

**– ლაშა, ერთია, როცა ომის შესახებ ამბებს სხვა ქვეყნიდან ეცნობი და ალბათ, სულ სხვა განცდაა, როცა ყველაფერს მოვლენების ეპიცენტრიდან ხედავ... რა განწყობა და როგორი ვითარება დაგხვდათ უკრაინაში?**

– უკრაინელი ხალხი საკმაოდ მოტივირებულია – ისევ ისე მედგრად დგანან, როგორც შარშან, როცა ომი დაიწყო. ისეთივე ბრძოლის ჟინი, თავდადება აქვთ და გვერდში უდგანან ერთმანეთს. უბრალოდ, მაშინ თუ მოსახლეობა, გარკვეულწილად, შეშინებული იყო, ახლა უფრო მშვიდად არიან. თითოეულ გასროლას უკვე მშვიდად უყურებენ – სჯერათ თავისი ჯარის და ანტისაჰაერო სისტემის.

კიევში ახლაც, სანამ თქვენ დამირეკავდით, თავდასხმა მოხდა, ისროლეს რაკეტები და დრონები, მაგრამ პანიკა აღარ შეიმჩნევა, იმდენად დიდი ნდობა აქვთ საკუთარი ანტისაჰაერო სისტემის, პრაქტიკულად, კიევი 100%-ით დაცულია. ფაქტია, უკვე დიდი ხანია, უშუალოდ კიევში აფეთქება არ მომხდარა.

... იცით, რომ ცხელი წერტილებია ბახმუტის, მარინკას, სვატოვეს, კრემენნაიას მიმართულებით, სადაც ამ წუთსაც სერიოზული, მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს, თუმცა მზადება მიდის დიდი კონტრშეტევისთვის, რისთვისაც შემოდის დასავლური ტექნიკა, ასევე, იქ გადამზადებული ახალი სამხედრო ჯგუფები, რომლებმაც წვრთნა გაიარეს დასავლეთში. ეს ადამიანები ბრუნდებიან, რომ ძალიან მალე დაიწყოს ნანატრი, დიდი კონტრშეტევა, რომელიც აუცილებლად წარმატებით დამთავრდება. ამის მოლოდინშია ყველა და, მათ შორის, არა მხოლოდ უკრაინა, არამედ, მთელი ცივილიზებული სამყარო, საქართველოც, რათა ამ კონტრშეტევით მოხერხდეს ჩვენი საერთო მტრის დამარცხება.

ერთადერთი პრობლემა და გულსატკენი ამბავი ისაა, რომ მშვიდობიანი მოქალაქეები ეწირებიან რუსეთის მიერ უკონტროლოდ, საცხოვრებელი სახლების მიმართულებით გაშვებულ რაკეტებს. საუბარი მაქვს დნეპრზე, სამწუხაროდ, ძირითადად, ეს ქალაქი იბომბება, თორემ სხვა მხრივ, სამხედრო მზადყოფნაში ეჭვი არ მეპარება, ბიჭებიც მზად არიან, ტექნიკაც შემოსულია და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი წარმატებით დამთავრდება.

**– საქართველო ახსენეთ და, ვიცით, რომ უკრაინაში დაინიცირდა საკანონმდებლო ინიციატივა, „გრუზია“ ჩანაცვლდეს ტერმინით – „საქართველო“... როგორი განწყობა აქვთ ჩვენს უკრაინელ მეგობრებს ქართველების მიმართ?**

– მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ და ღიად ვთქვათ, პრორუსი ხელისუფლება გვყავს და ეს აქ ყველამ იცის, ველოდი, რომ უკრაინელები ამის გამო ნაწყენები იქნებოდნენ, მაგრამ იმდენად უყვართ უკრაინელებს ჩვენი, ქართველი მებრძოლები... ქართველი ლეგიონერები, რაოდენობის მხრივ, უცხოელ მებრძოლებს შორის, ყველაზე მეტნი არიან და სამწუხაროდ, დანაკარგიც ყველაზე დიდი ჩვენ გვაქვს. იმდენად პატივს სცემენ და უყვართ ქართველი ხალხი... ყველაფერს ხედავენ, როგორ გულშემატკივრობს მათ ქართველი ხალხი, რამხელა აქციებს მართავს... აქ რომ იტყვი, ქართველი ხარ, ყველა პატივისცემით და მოწიწებით გეპყრობა. მაგალითად, მე ხილი მაჩუქეს, ჩემი ეროვნება რომ გაიგეს, ჩვენი დროშა რომ დაინახეს ფორმაზე. ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვთ ქართველების მიმართ და ეს მახარებს.

**– ლაშა, ესე იგი, ბაზარი და მსგავსი ობიექტები ჩვეულებრივად ფუნქციონირებენ?**

– კი, ხომ გეუბნებით, მიუხედავად იმისა, რომ დნეპრი ყოველდღე იბომბება, იქ ხალხი ჩვეულებრივად ცხოვრობს. მეტსაც გეტყვით, დაუჯერებელია, მაგრამ ქვეყანაში, სადაც ომია, ყველა პროდუქტი უფრო იაფია, ვიდრე საქართველოში. ყველა დაწესებულება ჩვეულებრივად ფუნქციონირებს... ისწავლეს ომის პირობებში ცხოვრება.

ასე რომ, ქართველების მიმართ აქვთ განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება და ვისაც ქართველებთან შეხება ჰქონია, ტერმინ „გრუზიას“ აღარ იყენებს. ბევრი მინახავს, ვისაც უთქვამს, შენ ხარ ქართველი და შენი ქვეყანა საქართველოაო. სიტყვებს – „გრუზინი“ და „გრუზია“ აღარ იყენებენ.

**– ამ ამბის არსი ისაა, რომ რუსული სიტყვა – „გრუზია“ აღარ გამოიყენონ, რაც დასაფასებელია.**

– დიახ, მეც მიხარია, რომ ასე ხდება...

**– რამდენ ხანს აპირებთ უკრაინაში დარჩენას და რას ეტყოდით ომის ეპიცენტრიდან ჩვენს მკითხველს?**

– წინასწარ განსაზღვრული არ მაქვს, როდის დავბრუნდები. ახლა ჩვენს ბიჭებთან ვარ, ქართულ ლეგიონში... ასეთი პატრიოტი, ნეტა, ბევრი გვყავდეს საქართველოში, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა... ამათი იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხალხი გადაარჩენს საქართველოს.

თქვენს მკითხველს ერთადერთი ის შემიძლია, ვუთხრა, რომ არ დანებდნენ, არ შეეგუონ რუსულ ხელისუფლებას, იბრძოლონ ბოლომდე საქართველოსა და თავისუფლების დასაცავად.

გამოსავალი ერთიანობა და ბრძოლაა.

**– ლაშა, წარმატებას გისურვებთ თქვენ და გამარჯვებას – უკრაინას!**

– გამარჯვება – უკრაინას და გაერთიანება – საქართველოს!

მაკა რუხაძე

# გაძვირდება თუ არა პური

## რატომ დაწესდა ფქვილზე საიმპორტო გადასახადი

**10 ივნისიდან, იმპორტირებულ ფქვილზე საიმპორტო გადასახადი დაწესდება. მართალია, ახალი რეგულაცია მხოლოდ ხუთი თვის მანძილზე იმოქმედებს, მაგრამ საზოგადოების ნაწილი აღშფოთებულია და ფიქრობს, რომ ამის გამო, შესაძლოა, პური გაძვირდეს. სამაგიეროდ, გამორიცხული არაა, მზესუმზირის ზეთი გაიაფდეს, რადგან რუსული მზესუმზირის ზეთზე საექსპორტო გადასახადი ივნისში განულდება. არადა, მაისში, 1 ტონა ზეთზე ეს გადასახადი 1.122 რუბლი ანუ 14 აშშ დოლარი იყო.**

რატომ შევა ძალაში 10 ივნისიდან იმპორტირებულ ფქვილზე საიმპორტო გადასახადი? ირკვევა, რომ საქართველოს ხორბლის მწარმოებელთა ასოციაცია და ფერმერები, თურმე, დიდი ხანია, ხელისუფლებისგან ამ გადაწყვეტილების მიღებას ითხოვდნენ. ასოციაციის ხელმძღვანელის, ლევან სილაგავას განცხადებით, ამ გადაწყვეტილების საშუალებით, წისქვილები შეუფერხებლად შეძლებენ მუშაობას, ხოლო ადგილობრივი ფერმერები – პროდუქციის რეალიზაციას და რაც მთავარია, ახალი მოსავლის მიღებაზე ფიქრს. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ გადაწყვეტილებაში ისაა, რომ პური არ გაძვირდება.

**„თავისი არსით, ეს გადაწყვეტილება შესაბამისობაშია იმასთან, რასაც დიდი ხანია, ვითხოვდით. მოგეხსენებათ, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც წისქვილების მუშაობა, ასევე, ადგილობრივი ხორბლის მიღება, რაც მემარცვლე ფერმერებს უჩენს მოტივაციას, სამომავლოდ ისევ მოიყვანონ ხორბალი. პურის ფასი კი დაზღვეულია. ასე რომ, ბიზნესის ნაწილში, ეს სამმხრივად სასარგებლო გადაწყვეტილება გახლავთ. მოსახლეობისთვისაც სასარგებლო გადაწყვეტილებაა, რადგან გიმეორებთ, ამ რეგულაციაში პურის ფასის გადაზღვევის მექანიზმი ჩადებულია. 1 ტომარა ფქვილის ფასი 52 ლარის ფარგლებში იქნება და ეს ფასი სწორად ჯდება კალკულაციაში, რათა პური არ გაძვირდეს, ხოლო წისქვილებმა მუშაობის გაგრძელება შეძლონ“,** – აღნიშნა ლევან სილაგავამ.

მისი თქმით, ადგილობრივი ფერმერები შეძლებენ, საკუთარი ხორბალი ადეკვატურ ფასად გაყიდონ. მთლიანობაში, რეგულაციის მოქმედების დრო ანუ ხუთი თვე, ზუსტად ახალი მოსავლის მიღებამდე პერიოდია. ლევან სილაგავა ამბობს, რომ ხუთი თვის შემდეგ, შესაძლოა, რეგულაცია გაგრძელდეს, რაც დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორი მოსავალი გვექნება.

**„გარდა ამისა, საგადასახადო რეჟიმი, რომელიც აქამდე უსამართლო იყო, ფაქტობრივად, გამოსწორდა. სწორედ ეს არის მექანიზმი, რომლითაც სახელმწიფო, მსოფლიოში, ხორბლის ბაზარზე არსებულ კონიუნქტურას უპასუხებს. ჩვენ არასდროს მოგვითხოვია, რომ სასათბურე პირობები გვქონოდა, უბრალოდ, გასასწორებელი იყო გადახდის რეჟიმი, რომელიც გასწორდა და ახლა უკვე მუშაობს შეჯიბრებითობის პრინციპი“,** – აცხადებს ლევან სილაგავა.

რაც შეეხება პურისა და პურ-პროდუქტების შესაძლო გაძვირებას, ხორბლის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ამ ეტაპზე, პური – არა, მაგრამ შესაძლოა, სხვა პურ-პროდუქტები გაძვირდეს, თუმცა გაძვირება დრამატული ნამდვილად არ იქნება:

**„რასაკვირველია, პურ-პროდუქტები გაძვირდება, თუმცა ჯერ არა – ახალი რეგულაცია ძალაში 10 ივნისიდან შევა. მანამდე, ფქვილი ახლაც შემოდის და საკმაოდ დაბალ ფასად, რაც ხელოვნურია, თუმცა ბაზარი გაჯერებულია და მარაგების გაკეთება შესაძლებელია. არ მგონია, რომ ეს ახალი გადაწყვეტილება დრამატულად აისახება, თუმცა სხვა სახის პურ-პროდუქტები, კერძოდ, ტორტი, ნამცხვარი, ავსტრიული და გერმანული პური პირველადი დანიშნულების პროდუქცია არ გახლავთ. შესაძლოა, სწორედ ეს პროდუქტები გაძვირდეს, მაგრამ ძალიან მცირედით“,** – დააზუსტა ლევან სილაგავამ.

პურის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის, მალხაზ დოლიძის განცხადებით, ამჟამად მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, სოციალურ პურზე ფასი არ გაიზრდება:

**„როდესაც ეს იდეა გაჩნდა და კონკრეტულმა ასოციაციებმა მოთხოვნა დააყენეს იმპორტირებულ ფქვილზე საიმპორტო გადასახადი დაწესებულიყო, უნდა ითქვას, რომ სამთავრობო უწყებები ხაზგასმით იცავდნენ პოზიციას, რომ პური არ უნდა გაძვირებულიყო. ჩვენ მაშინ ვთქვით, რომ ერთი ტომარა ფქვილის ფასის ოპტიმალური ფასი 50 ლარი უნდა ყოფილიყო, მეხორბლეები კი 55 ლარს ასახელებდნენ, თუმცა საბოლოოდ, 52 ლარზე შევჯერდით. ჩვენ ვიცით, რომ დროებითი გადასახადი დაწესდება და ეს იქნება, დაახლოებით, 200 ლარის ფარგლებში, 1 ტონაზე. რომ გადავიანგარიშოთ, ეს გადასახადი 1 ტომარაფაქვილზე, დაახლოებით, 51-52 ლარია და შესაბამისად, ახალი რეგულაცია პურის ფასზე არ აისახება“,** – განმარტა მალხაზ დოლიძემ.

მისი თქმით, გასაგებია, რომ ადგილობრივი წარმოების განვითარება აუცილებელია, თუმცა აქამდე, პურის ქარხნებს მეტი მოგება რჩებოდათ, თანაც საკმაოდ მოკლე დროში. პარალელურად, პურის ქარხნებს უჩნდებოდათ შანსი, ეს მოგება ისევ წარმოებაში ჩაებრუნებინათ და ქარხნები განევითარებინათ:

**„მით უფრო, რომ სულ მალე, ჩვენთან HACCP-ის სტანდარტი უნდა დაინერგოს. თუმცა, მთავრობამ მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც მიიღო. ჯერჯერობით, ჩვენი ქვეყანა სრულად თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე არაა გადასული, არადა, ჯერ ამაზე უკეთესი, არავის არაფერი მოუგონებია. თავისუფალ პირობებში გაქვს, როგორც ფასის, ასევე ხარისხის არჩევანის საშუალება“,** – აცხადებს მალხაზ დოლიძე.

# რა დარღვევები გამოვლინდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში

## სახელმწიფო აუდიტის დასკვნა და ხარვეზები, რომლებიც დროულად უნდა გამოსწორდეს!

მაკა რუხაძე

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შეამოწმა. დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტია და მოიცავს 2021 წელს. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა სხვადასხვა სახის ფინანსური დარღვევები გამოავლინეს და დაასკვნეს, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ უწყების ფინანსური დეპარტამენტის თანამშრომლები მოქმედ კანონმდებლობას არღვევენ!**

### ხარვეზები მატერიალურ მარაგებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „მატერიალური მარაგების“ მუხლის ნაშთი შეადგენს 6 534 896 ლარს, საიდანაც 4 729 201 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე მარაგებთან დაკავშირებით, 2021 წელს ბრუნვა არ ფიქსირდება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ობიექტისგან მიღებული განმარტებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა 708 753 ლარის ისეთი მარაგი, რომელსაც ვარგისიანობის დასადგენად დამატებითი შესწავლა სჭირდება.

**„ამასთან, 3 277 516 ლარის მარაგი, რომელზეც ბრუნვა არ ფიქსირდება ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით, არის დროებითი ხიდები, რომლებიც გამოიყენება მრავალჯერადად და განკარგულების საფუძველზე კონტრაქტორებს გადაეცემათ სარგებლობაში თხოვების ფორმით“,** – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

დარღვევის გამოვლენის შემდეგ, სახელმწიფო აუდიტორებმა რეკომენდაციაც შეიმუშავეს, რაც უწყებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს:

**„ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია, დეპარტამენტმა მარაგების მუხლში აღრიცხული დროებითი ხიდები შეაფასოს მისი რეალური ღირებულებით, განსაზღვროს შესაბამისი მომსახურების ვადა და აღრიცხოს ძირითად აქტივად. ამასთან, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და აქტივების ეფექტიანი მართვის მიზნით, მიზანშეწონილია, სამინისტრომ უზრუნველჰყოს მომავალი გამოყენებისთვის იდენტიფიცირება უსარგებლო აქტივებსა და გამოუსადეგარ ქონებასთან დაკავშირებით, შეაფასოს მათი შემდგომი განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები“.**

### ხარვეზები გრძელვადიან ფინანსურ აქტივებში

დარღვევები გამოვლინდა სამინისტროს გრძელვადიან ფინანსურ აქტივებში. აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ შეადგენს 18 532 695 ლარს და წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ფულად და ქონებრივ შენატანებს, კომპანიების დაგროვილი აკუმულირებული ზარალის გათვალისწინებით.

**„აღსანიშნავია, რომ 2019 წლამდე, სამინისტროში, სახელმწიფო საწარმოებში არსებული ყველა შენატანი აკუმულირდებოდა მუხლში – „აქციები და სხვა კაპიტალი“. 2019 წლიდან, სამინისტრომ შეცვალა მიდგომა და ფულადი შენატანები „აქციებისა და სხვა კაპიტალის“ ნაცვლად, დააკლასიფიცირა „სხვა ხარჯების“ მუხლში, როგორც „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“. 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სამინისტრომ 2019-2020 წლებში, „სხვა ხარჯების“ მუხლში კლასიფიცირებული 53 288 198 ლარის ფულადი შენატანები რეტროსპექტულად ასახა, როგორც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის „აქციები და სხვა კაპიტალი“. გარდა ამისა, 2021 წელს, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში 11 000 000 ლარის ფულადი შენატანი, ასევე კლასიფიცირდა, როგორც „აქციები და სხვა კაპიტალი“. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის N99 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციას“, რომლის მიხედვით, საჯარო კორპორაციის მიერ, წლების განმავლობაში აკუმულირებული დანაკარგებისა და უარყოფითი საოპერაციო ბალანსის შესავსებად გადაცემული სახსრები და ასევე ინვესტირება, უკუგების და სარგებლის მიღების მოლოდინის გარეშე აღირიცხება როგორც კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“.**

რაც შეეხება რეკომენდაციას, სახელმწიფო აუდიტორებს მიაჩნიათ, ორმ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით, უნდა იმსჯელოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში – „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლში 2019-2021 წლებში ფულად შენატანებთან დაკავშირებით და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### ხარვეზები გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებში

დარღვევები გამოვლინდა გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებშიც. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, „მუნიციპალური განვითარების ფონდს“, „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლის ბალანსზე ერიცხება 4 141 269 ლარის დაუმთავრებელი აქტივები, რომლებზეც 2021 წელს ბრუნვა არ ფიქსირდება და შესაძლოა არ აკმაყოფილებდნენ აქტივად აღიარების კრიტერიუმს. მათ შორის, 996 359 ლარის აქტივზე 2018 წლიდან ბრუნვა არ ყოფილა, მათი სამომავლო გამოყენების გეგმა ფონდს შემუშავებული არ აქვს და 808 672 ლარის ღირებულების 2012 წლამდე წარმოშობილი აქტივების იდენტიფიცირება და ინვენტარიზაცია ვერ ხერხდება.

**„აღსანიშნავია, რომ მოცემული ნაშთები იდენტიფიცირებულია ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში, რასთან დაკავშირებითაც გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია, „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ ჩაატაროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დადგინდება მათი წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.“ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ, ვინაიდან ინვენტარიზა-**

*დასასრული მე-8 გვერდზე*

# რა დარღვევები გამოვლინდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში

*მე-7 გვერდიდან*

**ცია მოიცავს მოცემულ აქტივებს, თუმცა ფონდის მიერ აქტივების წარმოშობის საფუძვლებთან, სტატუსთან და მათი შემდგომში ეფექტიანად გამოყენებასთან დაკავშირებით, შეფასება არ გაკეთებულა".**

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციით, აუცილებელია, რომ „მუნიციპალური განვითარების ფონდმა" სრულფასოვნად ჩაატაროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დადგინდება დაუმთავრებელი აქტივების წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, უნდა იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## ხარვეზები ინვენტარიზაციაში

ახლა ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ინვენტარიზაციაში. საბიუჯეტო ორგანიზაციებში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კონტროლის მექანიზმია, რომლის ერთ-ერთი მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია რწმუნების მოსაპოვებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება რეალურად არსებობს და ამასთან, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი და ვალდებულება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია, როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის, ასევე, აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობის ზრდის თვალსაზრისითაც.

**„სამინისტროს ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში 2021 წელს, ინვენტარიზაციის პროცესს ახლდა გარკვეული ნაკლოვანებები. კერძოდ, საავტომობილო გზების დეპარტამენტში, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია სრულყოფილად არ ჩატარებულა. სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდში" ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, უძრავი ქონების, მატერიალური და არამატერიალური აქტივებისა და დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში არ არის ჩატარებული და ინვენტარიზაციის შედეგები 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული".**

აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური აქტივების დაკარგვის რისკის შესამცირებლად, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია უნდა ჩაატარონ ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის დროს გამოვლინდა, რომ ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ წარდგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთი გაზრდილია 180 163 ლარით.

რაც შეეხება რეკომენდაციას, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია, „მუნიციპალური განვითარების ფონდმა" ჩაატაროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დადგინდება დაუმთავრებელი აქტივების წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, უნდა იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## ხარვეზები შრომის ანაზღაურებაში

ვნახოთ, რა დარღვევები გამოიკვეთა შრომის ანაზღაურებაში. სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდში", მთავრობის განკარგულებით განისაზღვრა საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი, სადაც მოცემულია შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება, რაოდენობა და შესაბამისი თანამდებობრივი სარგო. ფონდში მთავრობის განკარგულების საფუძველზე დამატებით არ მტკიცდება დეტალური საშტატო ნუსხა, სადაც მითითებული იქნებოდა შესაბამისი დეპარტამენტები და თანამშრომელთა თანამდებობები. ზოგიერთ შემთხვევაში, ფონდის შრომის ანაზღაურების უწყისებში ასახული თანამდებობები არ შეესაბამება მთავრობის განკარგულებით განსაზღვრულ თანამდებობებს.

**„საჯარო დაწესებულებაში სახელფასო დანამატის ერთდროული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი თანამდებობისათვის, ან პოზიციისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ერთი თვის ოდენობას, ხოლო წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი სახელფასო დანამატის ოდენობა – თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 20%-ს. 2021 წელს, ფონდში დარღვეულია კანონის მოთხოვნა და „სპეციალისტის" თანამდებობაზე მომუშავე თანამშრომელზე ზედმეტად დარიცხულია 2 400 ლარის დანამატი, რაც ექვემდებარება დაბრუნებას. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ, წლის განმავლობაში მიღებული ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს".**

გარდა ამისა, 2021 წელს, ფონდში დარღვეულია კანონის მოთხოვნა და ხუთ თანამშრომელზე ზედმეტადაა დარიცხული 6 875 ლარის ფულადი ჯილდო, რაც ექვემდებარება დაბრუნებას.

## ხარვეზები სხვადასხვა შემოსავლებში

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა „აქტივებისა და ვალდებულებების ფლობის შედეგად მიღებული სხვა მოგების" მუხლში ასახა საავტომობილო გზის ასფალტბეტონის ანაფრეზის მიღება, რომელიც ფინანსურ ჩანაწერებში აღიარებულია, როგორც შემოსავალი და მარაგი, მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცემა ის შესაბამის მუნიციპალიტეტებს. აღნიშნული შინაარსით მიღებულმა შემოსავლებმა, 2021 წელს, შეადგინა 3 970 979 ლარი. გამოვლინდა 633 640 ლარის ღირებულების ისეთი მარაგები, რომლებზეც დეპარტამენტმა შეტყობინება მიიღო 2021 წელს, თუმცა დასაწყობების აქტები თარიღდებოდა 2019-2020 წლებით და შესაბამისად, არ წარმოადგენდა მიმდინარე პერიოდისთვის მისაკუთვნებელ შემოსავალს. მათ შორის, იდენტიფიცირებულია 58 872 ლარის მარაგი, რომელიც დუბლირებულად გატარდა. ასევე, დეპარტამენტის უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებით ფლობიდან მიღებული მოგება გაზრდილია 375 539 ლარით.

**„სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდის" 2021 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების „გრანტის ხარჯის" მუხლში არ არის ასახული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პოლიციის ადმინისტრაციული შენობის 3 118 782 ლარის სამუშაოების გადაცემა; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის სოფელ ხორნაბუჯში მდებარე საბავშვო ბაღის 843 712 ლარის სამშენებლო სამუშაოების გადაცემა; ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სპორტული დარბაზისა და საცურაო აუზის 14 809 344 ლარის სამუშაოების გადაცემა; ამასთან, ფონდის 2021 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების „გრანტის ხარჯის" მუხლში ასახულია თიანეთის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული 239 617 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული კაპიტალიზირებადი ზედამხედველობის ხარჯები, რომელიც მიეკუთვნება 2019 წელს და არ წარმოადგენს 2021 წლის ხარჯს. შესაბამისად, ფონდის „გრანტის ხარჯის" მუხლი ჯამურად შემცირებულია 18 532 221 ლარით".**

# სამართალი

№19 31 მაისი 2023 წ


# როგორ გავიდა პოლიცია ირანიდან შემოტანილი 80 კილოგრამ ნარკოტიკის კვალზე

## მასშტაბური სპეც-ოპერაციის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

**2010 წელს, ქართველმა სამართალდამცავებმა ნარკოტრანზიტის სქემა გაშიფრეს. სამხრეთამერიკული კოკაინი საქართველოში ჯართთან ერთად შემოდიოდა, აქ კი ნაწილი ადგილზე იყიდებოდა, ნაწილი ევროპაში გადიოდა. მაშინ ძალოვნებმა მთავარ ეჭვმიტანილად ნუგზარ ბოჭორიშვილი გამოაცხადეს, მის აქაურ მფარველად კი ცნობილი „კანონიერი ქურდი“ – შაქრო კალაშოვი, თუმცა აღნიშნულ დანაშაულზე არც ბოჭორიშვილს უგია პასუხი და არც – კალაშოვს. ეს უკანასკნელი ახლა რუსულ ციხეში იხდის სასჯელს, ბოჭორიშვილის კვალი კი გაქრა და სავარაუდოდ, ევროპაში ცხოვრობს, თუმცა ამის მიუხედავად, მაშინ არაერთი პირი მისცეს პასუხისგებაში, მათ შორის, ქალბატონიც, რომელსაც 30 წელი კი მიუსაჯეს, მაგრამ ახლა ისიც თავისუფალია. როცა ვამბობთ, რომ ნარკოტიკების რეალიზაციისთვის კანონი უნდა გამკაცრდეს, სწორედ იმას ვგულისხმობთ, რომ ნარკოდილერს არ უნდა ჰქონდეს შეგრძნება, 30 წელს რომ მიუსჯიან, 5-6 წელიწადში გარეთ გამოვა, ან შეიწყალებენ, ან რაღაც შეიცვლება. ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იქნება მათი იოლად გამდიდრების ამბიციების შეკავებისა.**

გასულ კვირას, ქართველმა სამართალდამცავებმა ისევ ივარგეს და ირანის მოქალაქეს კონტეინერში 80 კილომდე ნარკოტიკი უპოვეს. 2010 წლის შემდეგ, ეს იყო ყველაზე დიდი ოდენობა ნარკოტიკებისა, რომელიც ჩვენმა პოლიციამ ამოიღო და ამისთვის ქება ეკუთვნის, თუმცა... აბსოლუტურად ყველა ქვეყანა აღარებს, რომ თუ ნარკოდილერებს აკავებენ, წლის განმავლობაში ამოღებული ნარკოტიკების, დაახლოებით, 30% ქვეყანაში მაინც მოძრაობს ანუ დამნაშავეები ახერხებენ და ნარკოტიკი შემოაქვთ, გააქვთ, ჰყიდიან... სამწუხაროდ, საქართველოს შს სამინისტრო, ყოველწლიურად ტონობით ამოღებულ ნარკოტიკს ანადგურებს. სამწუხაროდ იმიტომ, რომ ამ ციფრებს და საერთაშორისო პრაქტიკას თუ მოვიშველიებთ, გამოვა, რომ განადგურებული ნარკოტიკების 30% სადღაც გვეპარება და სწორედ მას მოიხმარენ ნარკოდამოკიდებული ადამიანები. ლეგენდად ქცეული პაბლო ესკობარი ხშირად იმეორებდა, მზად ვარ, 10 ტონა ნარკოტიკი შევწირო სამართალდამცავებს, სანაცვლოდ კი 3 ტონა შევიტანოო და ასეც აკეთებდა. ამერიკელ პოლიციელებს უხაროდათ ტონობით ნარკოტიკის ამოღება და სწორედ იქ იყო ძაღლის თავი დამარხული – ესკობარს 10 ტონა „ჩაშვებული“ კოკაინის ნაცვლად 3 ტონა გადაჰქონდა და ათმაგ მოგებას იღებდა. ცნობილია ისიც, რომ როცა ესკობარი ოჯახთან ერთად გაიქცა და მის გოგონას შესცივდა, ესკობარმა თან წაღებული ფულის მარაგის ნაწილი დაწვა და საერთო ჯამში, შვილი 20 მილიონი დოლარით გაათბო.

ისევ ირანელ ნარკოდილერს დავუბრუნდეთ. სამართალდამცავები კი ამბობენ, რომ კონკრეტული ტრაილერი შემთხვევითი შემოწმების პრინციპით შეარჩიეს, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მათ ინფორმაცია ჰქონდათ და სწორედ ამიტომ დაშალეს ტრაილერის კარები და იპოვეს ნარკოტიკი. ძალიან კარგია, რომ ძალოვნები იმ დონეზე მუშაობენ, ირანიდან წამოსულ მანქანებზე რომ აქვთ ინფორმაცია, მაგრამ არსებობს იმის ვარაუდიც, რომ კონკრეტული პირი... კონკურენტმა ჩაუშვა ანუ მან, ვისაც საკუთარი ინტერესი აქვს ნარკოტიკების ტრანზიტზე. ნამდვილად ვერ გეტყვით, უფრო როგორ უნდა გამკაცრდეს საზღვარზე ნარკოტიკების გადატანის კონტროლი, რადგან ქართველი მესაზღვრეები თითქოს მაქსიმუმს აკეთებენ, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ უნდა გამკაცრდეს კანონი და იმ ირანელს სამუდამოს თუ მიუსჯიან (ქართული კანონმდებლობა ამას ითვალისწინებს), ურიგო არ იქნება. სხვა თუ არაფერი, მის სამშობლოში გაიგებენ დანარჩენები და სანამ გარისკავენ, კარგად დაფიქრდებიან. ისე, ანალოგიური დანაშაულისთვის ირანელი სამშობლოში რომ დაეჭირათ, ასიდან ას შემთხვევაში ჩამოახრჩობდნენ ანუ სიკვდილთ დასჯა არ ასცდებოდა. ჰოდა, ჩვენთან სიკვდილით დასჯა რომ არ არის, ხომ შეიძლება, სამუდამო მივცეთ, ოღონდ მართლა სამუდამო და არა ისე, 5-6 წლის შემდეგ, ისევ ტრაილერის საჭეს რომ ატრიალებდეს.

ნარკოლიბერალიზაციის შემდეგ, საქართველოში მარიხუანას მოყვანა გამრავლდა. თუ აქამდე, სოფლებში, მარიხუანას დამალულ ადგილზე თესავდნენ, სამართალდამცავებს რომ არ გაეგოთ, ახლა დამალულ ადგილს მხოლოდ იმ მიზეზით არჩევენ, რომ სხვამ არ მოიპაროს და სხვამ არ მოიხმაროს. „პლანი“ სოფლისა თუ ქალაქის ბირჟებზე ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია და როცა „მოსავლის“ აღების დრო მოვა, გაცვლა-გამოცვლა (ჩემი სჯობს, პრინციპით) ისეთ დონეზე მიმდინარეობს, პირველყოფილებს შეშურდებოდათ, როცა გადარჩენისთვის საკვებ პროდუქტებს ცვლიდნენ.

და რას აკეთებენ ამ დროს სამართალდამცავები? ვერაფერს – მათ რამეს კეთების შესაძლებლობას კანონი არ აძლევს. მეტსაც გეტყვით – შესაძლოა, ნარკოტიკებთან კავშირში არ არის, მაგრამ გასულ კვირას, კრიმინალური პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი ჩიოდა, არასრულწლოვანს რომ ვაკავებთ ქურდობის ფაქტზე, დაგვცინის, არასრულწლოვანი ვარ, გაშვება მოგიწევთო. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან კიდეც, ვინ უფრო მეტ დანაშაულს ჩაიდენს, ვინ უფრო მეტი მაღაზიის ვიტრინას ჩატეხავს და მეტ პროდუქტს წაიღებს. ამ შეჯიბრში არასრულწლოვნები... 40-50 მაღაზიასაც სცდებიან, მიაქვთ ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეუძლიათ და ამ ზიანის გარდა, მეპატრონეს ცალკე ვიტრინის ფულის გადახდა უწევს აღსადგენად და...

„გვქონდა შემთხვევა, როცა მაღაზიის მეპატრონე ობიექტზე იყო, რაღაცას ანგარიშობდა, იქ დარჩა და გაიგონა, როგორ გატეხეს მისი მაღაზიის უზარმაზარი მინა, როგორ შევარდა შიგნით ორი არასრულწლოვანი და მან ორივე დაიკავა, თან ცოტა წაუთაქა, თან 112-ში დარეკა, იქვე სკოჩით მიაბა მაგიდაზე. ადგილზე მისულებს არასრულწლოვნებმა მაშინვე გვითხრეს, გვცემეო, დაგვაბაო, თავისუფლება უკანონოდ შეგვიზღუდაო... მოკლედ, იმ მაღაზიის მეპატრონეს 1-წლიანი პირობითი მისცა სასამართლომ, იმ ბავშვებს კი არც არაფერი, დღემდე დარბიან და მაღაზიებს ქურდავენ“, – გვეუბნება თანამშრომელი.

ჰოდა, ძალიან ხშირად, სამართალდამცავებისკენ რომ იშვერენ ხელს, მართებული არაა. კანონი თუ არ დაეხმარა ძალოვანს, რაც არ უნდა მოინდომოს, მაინც ვერაფერს გახდება, იყო საუბარი იმაზე, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, პასუხი ფინანსურად მშობლებს ეგოთ, მაგრამ არც ეს გამოვიდა, მშობლები ფინანსურ პასუხისგებაზე უარს ამბობენ და სასამართლოც უძლურია, ვერ აიძულებს ზარალის ანაზღაურებას, ან აიძულებს და თვეში 10-15 ლარის გადახდას აკისრებს. როცა ზარალი რამდენიმე ათასი ლარია, გამოდის, რომ დაზარალებულმა ეს თანხა 10 წელიწადში შეიძლება მიიღოს. კიდევ ერთი პრობლემა ორიოდე კვირის წინ გამოიკვეთა. განათლების სამინისტროს მიერ, ახალი რეგულაციით, მძღოლს, რომელსაც სურს, ბავშვები ექსკურსიაზე წაიყვანოს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ცნობა ნარკოლოგიურიდან, რაც ძალიან კარგია, თუმცა ცნობა უნდა ჰქონდეს არაუმეტეს 12 დღის აღებული და ეს ვადა როცა გავა, ახალი ცნობა უნდა აიღოს. მძღოლები ამბობენ, განტვირთვისთვის, ხანდახან მარიხუანას ვეწევით და მერე, კლიენტი თუ გამოჩნდება, ვერ მიგვყავს, რადგან 12 დღე გასული არ არისო. ამ დროს კი, ისინი ჩვეულებრივად მუშაობენ ხაზზე, გადაჰყავთ მგზავრები ანუ ეს პრობლემა არ არის და პრობლემა მხოლოდ ექსკურსიაა? ან ტაქსის მძღოლებიდან წინა დღის, ან ორი დღის მოწეული არავის აქვს? ან ჩვეულებრივ, საკუთარი ავტომობილის საჭესთან მსხდომ პირებს არ აქვთ წინა საღამოს მოწეული? რატომ იჩაგრებიან მხოლოდ სამარშრუტო ტაქსების მძღოლები? ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია – უბრალოდ, უნდა აიკრძალოს ნარკოტიკების მოხმარება და არ აქვს მნიშვნელობა, მსუბუქია, საკლუბო, თუ „ტრუსიკიდან ამოღებული“ – არ შეიძლება ნარკოტიკი, ნარკოტიკი ცუდია და მორჩა! ის ფაქტი, რომ ვიღაც ხელოვანს, თურმე, მარიხუანა სიმღერის დაწერაში ეხმარება, ხოლო ვიღაცას – ხატვაში, აბსოლუტური სისულელეა. სხვათა შორის, გალაკტიონი რომ თვრებოდა, მაშინ წერდა ლექსებს და თუ გალაკტიონობისთვის მარტო დათრობა კმარა, დავლით ყველამ და ვწეროთ, რა პრობლემაა? ნარკოტიკებისთვის იმის „დაბრალება“, რომ ამ დროს, თურმე, გონება იხსნება, აბსურდია, პირიქით – ტვინის უჯრედებს იმ დონეზე ადუნებს, რომ შემდეგ უჯრედი კვდება და სრულ „გამთაყვანებამდე“, მხოლოდ ნაბიჯიღა რჩება. ახლა, ბევრი იტყვის, შენ ეგრე გგონია, წლებია, მარიხუანას ვეწევი, ან მსუბუქ ნარკოტიკს მოვიხმარ, მაგრამ არ გამოვთაყვანებულვარო და ეგ იცით, როგორ არის, ჩემო კარგებო? როცა ადამიანი კვდება, მისი ოჯახის წევრები ნერვიულობენ, ტირიან, თავში ხელებს იცემენ, სახეს იხოკავენ, მაგრამ გარდაცვლილი ამას ვერ ხედავს, ამას ვერ ხვდება. აი, ზუსტად იგივე სიტუაციაა, როცა გამოთაყვანებული ხარ!

ზუსტად ვიცით, რომ ნარკოტიკების მოხმარებისა, თუ გასაღების მიმართულებით, კანონმდებლობის გამკაცრების აუცილებლობაზე მთავრობის წევრებიც საუბრობენ და პარლამენტარებიც. ერთი ეგაა, მოხმარების მიმართულებით დაწესებული ლიბერალიზაციის გადახედვა, ჯერჯერობით, არ იგეგმება, არადა, სწორედ ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, თორემ „ბარიგა“ ციხეში რომ ჩალპება, ოჯახის წევრების გარდა (ესეც საუკეთესო შემთხვევაში), მის გაქრობას არავინ იდარდებს. აი, ახალგაზრდა თაობის „გაქრობის“ საფრთხის წინაშე რეალურად ვდგავართ და რაღაც ძალიან სწრაფად არის მოსაფიქრებელი.

# „გაფრინდა და ხეს პირდაპირ თავით შეასკდა... 4 მეტრზე მიასხა ტვინი“

## როგორ აღმოჩნდა კოჯრის ხევში ახალგაზრდა მამაკაცის გვამი და რა გახდა დაღუპვის მიზეზი

ბათო ჯაფარიძე

**საქართველოში, ყოველწლიურად, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ასობით ადამიანი კვდება. სამწუხარო სტატისტიკა, რომელსაც წლებია, ვერაფერს ვუხერხებთ, დიდწილად, ჩვენი ბრალიცაა. გაფრთხილების, ჯარიმების გაზრდის თუ არაერთი ტრაგიკული შემთხვევის მიუხედავად, საჭესთან ნასვამი მძღოლის დაჯარიმება იშვიათობა მაინც არ არის. ამას გარდა, სიჩქარის გადაჭარბებისთვის ვიდეო-ჯარიმები, პრაქტიკულად, ათასობით მძღოლს მისდის და საშველი არ ჩანს. ისე, ცუდი არ იქნებოდა, სამხრეთ აფრიკის მაგალითი აგვეღო – ნასვამ მძღოლს მართვის მოწმობას სამუდამოდ ართმევენ, ხოლო თუ ნასვამი მძღოლის მიზეზით, ავარია მოხდება, რასაც ვინმეს გარდაცვალება მოჰყვება, მართვის მოწმობის სამუდამო ჩამორთმევასთან ერთად, ათწლიანი სასჯელიც არ ასცდება. იმ შემთხვევაში, თუ ნასვამი მძღოლი ავარიას ლეტალური შედეგის გარეშე ახდენს, მართვის მოწმობის ჩამორთმევა და სამწლიანი ციხე გარანტირებული აქვს. შედეგად, სამხრეთ აფრიკაში ნასვამი მძღოლის გამოვლენის ფაქტი წელიწადში ორ შემთხვევაზე მეტი, წლებია, არ ყოფილა. გამოდის, მკაცრი კანონი მუშაობს და სწორედ ამ კანონის წყალობით ყოველწლიურად ასობით ადამიანი ცოცხალი რჩება.**

**ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, შესაძლოა, მსოფლიოში ანალოგი არ აქვს – ის მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ მოეფიქრებინათ და განეხორციელებინათ. ჰო, ქართულ ფანტაზიას საზღვარი არცერთი მიმართულებით არ აქვს და როცა განუზომელი ოდენობით ღვინოს ვსვამთ, არაა გამორიცხული, ფანტაზია იდიოტიზმში გადაგვეზარდოს, იდიოტიზმი კი კოსმოსივითაა – არ მთავრდება, უსასრულოა.**

* * *

სამიოდე წლის წინ, კოჯრის მიმდებარედ, ხევში, ახალგაზრდა მამაკაცის გვამი იპოვეს. კაცს თავი ჰქონდა გახეთქილი. წინასწარი ვარაუდით, თავში რამე ბლაგვი საგანი ჩაარტყეს, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნა შოკისმომგვრელი იყო.

„მამაკაცს“ თავის ქალა აქვს დაფშვნილი და ხის ქერქის ნატეხების ნაწილი კანსა და თმებში, სისხლთან ერთადაა აზელილი. წინასწარი ვარაუდით, მას თავში სწორედ ხის ჯოხი ჩაარტყეს, თუმცა საქართველოში, შესაძლოა, ორი-სამი ადამიანი არსებობდეს, რომლებსაც ჯოხის ასეთი სიძლიერით მოქნევა და დარტყმა შეუძლიათ. ეს უნდა იყოს არაადამიანური ძალის პატრონი“, – დაახლოებით ეს ეწერა ექსპერტის დასკვნაში. სიტყვით კი, ექსპერტმა გამომძიებლებს უთხრა, რომ ის, ვინც გარდაცვლილს თავში ჯოხი, ან პალო ჩაარტყა, ბევრად უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, ვიდრე თუნდაც ლაშა ტალახაძე ან ლევან საგინაშვილი. ექსპერტმა გამორიცხა ავტოსაგზაო შემთხვევა, რადგან მამაკაცი ავარიაში რომ მოყოლოდა და საქარე მინა თავით გაეტანა, შუშის ნამსხვრევები აუცილებლად იქნებოდა სხეულში.

გამომძიებლებს საფიქრალი მიეცათ. ჯერ ახლო-მახლო მოიკითხეს ვინმე არაადამიანური ძალის პატრონი, მაგრამ ასეთი ვერავინ ნახეს. შემდეგ, მიმდებარე ტერიტორია 300 მეტრის რადიუსში დაათვალიერეს და ვერაფერი ნახეს. ადგილობრივი მცხოვრებლების გამოკითხვის შედეგად კი გაირკვა, რომ რამდენიმე დღის წინ, იმ ადგილზე, ნასვამი ახალგაზრდები იყვნენ შეკრებილნი და ავტომობილით, როგორც გზაზე, ისე ტყის მასივში, სწრაფად გადაადგილდებოდნენ, შემდეგ კი, დაჯახების ხმაც გაიგეს, თუმცა დაშავებული არავის უნახავს და არც – დამტვრეული მანქანა მეორე დღეს. ძალოვნებმა მიმდებარე ტერიტორია კიდევ ერთხელ შეამოწმეს საგულდაგულოდ და ნახეს ხე, რომელსაც სავარაუდოდ შეეჯახნენ, თუმცა ავარიის ადგილი და ადგილი, სადაც გვამი ნახეს, ერთმანეთისგან 150 მეტრის მოშორებით იყო და ამიტომ, ავარიასთან გვამის დაკავშირება სათუო გახლდათ. სამაგიეროდ, ხის ქერქზე კარგად იყო შერჩენილი საღებავი, რითაც დადგინდა, რომ მანქანა თეთრი ფერის იყო, თუმცა მარკა და მოდელი ვერ დადგინდებოდა. ამიტომ, პოლიცია ვიდეოკამერებს ჩაუჯდა.

სამდღიანი მუშაობის შემდეგ დადგინდა, რომ სამართალდამცავებისთვის სავარაუდოდ საინტერესო მანქანა ქალს ეკუთვნოდა, რომელსაც ქმარი არ ჰყავდა. არც მისი მისამართის დადგენა გახლდათ ძნელი და პოლიციელები მანქანის მფლობელს შინ ეწვივნენ. ქალმა ძალიან მშვიდად მიუგო, რამდენიმე დღის წინ, ავტომობილი ჩემი გოგონას საქმრომ დაამტვრია, ახლა გასაკეთებლად ჰყავს წაყვანილი, როგორც მითხრა, ბევრი არაფერი სჭირს, მალე გაკეთდებაო. „გოგონას საქმროს“ სახელისა და გვარის დადგენაც არ გახლდათ რთული საქმე და გამომძიებლები ახლა მას მიადგნენ. ბიჭმაც არ უარყო, რომ სასიდედროსგან ავტომობილი ითხოვა, რომ მცირე ავარიაში მოჰყვა, მანქანა გაკაწრა და ახლა აკეთებდა. „გაკაწრული“ მანქანის სანახავად პოლიციელები სახელოსნოში წავიდნენ და დარწმუნდნენ, რომ ეს სწორედ მათთვის საინტერესო ავტო გახლდათ – პრაქტიკულად, წინა ცხვირი არ ჰქონდა, ისე იყო დამტვრეული. საინტერესო გახლდათ ისიც, რომ სასიძოს მართვის მოწმობა არ გააჩნდა ანუ ავტომობილს მართვის მოწმობის გარეშე მართავდა, თუმცა მან ხელები გაშალა – ჩემი ძმაკაცი იჯდა, იმას მართვის მოწმობა აქვსო. ახლა ძმაკაცის მონახულების ჯერი დადგა. მან დაადასტურა, რომ საჭესთან მართლაც ის იჯდა, რომ ავარიაც მას მოუხდა და გაკეთების ფულის ნაწილსაც თავად იხდიდა. ძალოვნებს ყველაზე მეტად ის აეჭვებდათ, რომ სასიძო პრაქტიკულად, უვნებელი იყო, მეგობარს კი სახესა და ხელებზე ნაკაწრები ჰქონდა ანუ არცერთს არ ეტყობოდა ავარიაში მოხვედრის კვალი, თუმცა ეს არ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი – მთავარი ის გახლდათ, რომ გარდაცვლილი, რომლის ვინაობაც დადგინდა, სწორედ ამ ბიჭების მეგობარი იყო და ისინი მუდმივად ერთად ატარებდნენ დროს. როცა მეგობრის სიკვდილზე ჩამოუგდეს სიტყვა, ორივემ დაზეპირებული ტექსტი გაიმეორა, იმ დღეს ჩვენთან ერთად იყო, მერე რაღაც ეწყინა და გზას ფეხით გაუყვა, ჩვენც ვეძებთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთო. ორივე მონაყოლი იმდენად ჰგავდა ერთმანეთს, რომ ცხადი იყო, რეპეტიცია რამდენჯერმე გაიარეს.

აზრი არ ჰქონდა მანქანაში გარდაცვლილის დნმ-ის ძებნას, აკი, ორივე ამბობდა, ჩვენთან ერთად იმყოფებოდა, შემდეგ კი წავიდაო ანუ ავტომობილში მის ყოფნას არცერთი უარყოფდა. ბიჭები არ იყვნენ ფიზიკურად ისეთი ძლიერები, თავზე ტრავმა რომ მიეყენებინათ გარდაცვლილისთვის და არაფერი უთითებდა იმაზე, რომ ავარიის მომენტში გარდაცვლილი ავტომობილში იჯდა – სისხლის და ქიმიური წმენდის კვალი ავტომობილს არ აღენიშნებოდა ანუ ბიჭი რომ მანქანაში მომკვდარიყო, სისხლის კვალს აუცილებლად დატოვებდა. გამოდიოდა, რომ ის მართლაც არ იმყოფებოდა ავარიის დროს ავტომობილში, მაგრამ... იყო რაღაც, რაც გამომძიებლებს მიანიშნებდა, რომ ბიჭებმა ზუსტად იცოდნენ, მეგობრის გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი, მაგრამ არ ამბობდნენ. ამიტომ, ორივე დააკავეს და გადაწყვიტეს, ცალკე, სათითაოდ დაეკითხათ. სასიძოს დაკითხვამ შედეგი არ გამოიღო, ის ჯიუტად პირველ ჩვენებაზე იდგა, აი, მის მეგობარს კი აუხსნეს, რომ თუ დამტკიცდებოდა, რომ გარდაცვლილს ავარიასთან რაღაც კავშირი ჰქონდა და საჭესთან ის იჯდა, მაშინ გრძელვადიანი სასჯელი არ ასცდებოდა. მან დრო ითხოვა და ადვოკატთან შეხვედრა მოისურვა. მთელი მეორე დღის განმავლობაში ადვოკატი ხან ერთ დაკავებულთან შედიოდა, ხან – მეორესთან. ცხადი იყო, რომ მას ამბები მიჰქონდა და მოჰქონდა, ახლა მთავარი გახლდათ, დაკავებულები ვერ შეთანხმებულიყვნენ და რომელიმეს საუბარი დაეწყო. როგორც იქნა, ადვოკატის ვოიაჟები დასრულდა და დაკავებულებს ისევ გამომძიებლები დაუბრუნდნენ. სასიძომ კვლავ ძველი ვერსია გაიმეორა, მეორე დაკავებულმა კი...

„საჭესთან მე არასდროს ვმჯდარვარ, სულ ის იჯდა, ვისაც სასიდედროს მანქანა მოჰყავდა. იმ დღესაც ასე იყო, საჭესთან იჯდა, ნასვამები ვიყავით და გარდაცვლილმა, გინდა თუ არა, „კაპოტზე“ უნდა დავჯდეო. ეგ იდეა არ მომეწონა, მაგრამ ის რომ დაჯდა, მეც გვერდით მივუჯექი. ამან კიდევ, მანქანა, ალბათ, ასით გააქანა, წინ კარგად ვერაფერს ხედავდა, ჩვენ ვიყავით „კაპოტს“ და ერთმანეთს ჩაფრენილები. დავინახე, ხეს რომ ეჯახებოდა და როგორღაც გადავხტი, თუმცა გვარიანად ვიფრინე და ბუჩქნარში გავგორდი. ჩვენი მეგობარი კი, დაჯახების შემდეგ, ასე, 30 მეტრით გაფრინდა და ხეს პირდაპირ თავით შეასკდა. სავარაუდოდ, იმიტომ ვერ ნახეთ კვალი, რომ მიწიდან, დაახლოებით, 4 მეტრზე მიასხა ტვინი. მოშორებით ჩვენ გადავათრიეთ, მერე მოვილაპარაკეთ და... აბა, რა უნდა მექნა, გარდაცვლილს მაინც ვეღარ ვუშველიდი“, – ასეთი იყო ეჭვმიტანილის მონაყოლი.

სასამართლომ მთავარ დამნაშავეს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მის მეგობარს კი, დანაშაულის დაფარვისთვის ორი წელი ერგო. აი, სულ ეს არის დღევანდელი ქართული კანონმდებლობით ადამიანის სიცოცხლის საზღაური და ამიტომაც ვამბობთ, რომ კანონი უნდა გამკაცრდეს.

ბათო ჯაფარიძე

**ერთ-ერთი ქართული ოპოზიციური პარტიის ლიდერის წინასაარჩევნო დაპირება – აგერ, უკვე მერამდენე წელია, სკოლებში უფასო კვებაა. ერთი შეხედვით, ეს ძალიან კარგია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, მსოფლიოს მასშტაბით, უფასო კარგი არასდროს არაფერია და უფასო კვება რომ შემოიღონ კიდეც, არავინ იცის, რა ხარისხის საკვებს მიიღებენ ბავშვები. ცოდვა გამხელილი სჯობს და, ახლაც, როცა ფასიანი სასადილოებია ანუ მოსწავლეები და მასწავლებლები საკუთარი სურვილისამებრ ყიდულობენ, რაც სურთ, საკვები პროდუქტის ხარისხი უკეთესის სურვილს აშკარად ტოვებს. მეტიც, შემომტანები პირდაპირ ამბობენ, რომ სკოლებში ძვირადღირებულ და ხარისხიან საკვებს იმიტომ ვერ შეიტანენ, რომ მათი გაყიდვა გაჭირდება.**

# გაუგონარი დანაშაული – განათლების სამინისტროს მაღალჩინოსანი 13 სკოლის დირექტორს აშანტაჟებდა

## სქემა, როგორ იყიდებოდა მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პროდუქტი „გარაჟებიდან“

უფასო სასადილო არც კომუნისტების დროს იყო. მართალია, მაშინ ყველაფერი კაპიკები ღირდა, მაგრამ უფასოდ ნამდვილად არაფერს აძლევდნენ მოსწავლე-მასწავლებლებს. სამაგიეროდ, მაშინ ბევრად მარტივი იყო მოპარვა, მაგრამ ისე უნდა მოგეპარა, რომ არავის გაეგო, ან თუ იმასაც მოქრთამავდი, ვისაც უნდა „გაეგო და რეაგირება“ ჰქონოდა, შეიძლებოდა, მთელი ცხოვრება მოგეპარა და მშვიდად გეცხოვრა. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, შეიძლება ითქვას, ანალოგი არ აქვს, რადგან სწორედ ამ ისტორიის შემდეგ დაიწყეს სკოლის სასადილოების განსაკუთრებული კონტროლი. უფრო ზუსტად, იმის კონტროლი დაიწყეს, დანაშაული ქსელური რომ არ ყოფილიყო, თორემ ცოტ-ცოტას მაინც ყველა იპარავდა. და კიდევ ერთი – კომუნისტების დროს აგენტურული ქსელი ძალიან გამართულად მუშაობდა და სწორედ მისი მეშვეობით, ათასობით დანაშაული გაიხსნა.

„თითოეულ ოპერმუშაკს 2-3 აგენტი ჰყავდა, რომლისგანაც ინფორმაციას იღებდა. აგენტები ჰყავდათ უბნის რწმუნებულებს, გამომძიებლებს, ყველას, ვისაც ფორმა ეცვა და საბოლოო ჯამში, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. ჰოდა, ერთ-ერთმა ასეთმა აგენტმა ქუჩაში, შემთხვევით შეხვედრის დროს მითხრა, წელში გავიმართე, საკვები პროდუქტების ახალ წერტილს მივაგენი, ყველაფერს ძალიან იაფად ჰყიდიან და ჩემი ხუთი შვილის გათვალისწინებით, დიდ შეღავათს მაძლევსო. ეს ამბავი ყურებს შორის გავატარე, კაცმა რაღაცას მიაგნო, ოჯახს ინახავს, მაგრამ ზუსტად ორ კვირაში, ერთ-ერთი ოპერი მოვიდა და უკვე სხვა აგენტის ინფორმაცია მოიტანა – თბილისში, ერთ-ერთი ავტოფარეხიდან, საკვები პროდუქტები იყიდება იაფად და ხალხი ბუზივით ეხვევაო“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

პროდუქტის მოძრაობა საბჭოთა კავშირში მკაცრად კონტროლდებოდა. რა თქმა უნდა, ყველამ იცოდა, რომ მაღაზიებიდან ხორცის კარგი ნაჭრები აგრარულ ბაზარში ხვდებოდა და იქ ორმაგ ფასში იყიდებოდა, იცოდნენ ისიც, რომ ტალონებზე ასაღები კარაქი იმავე ბაზრებში ურიგოდ და უტალონოდ იყო, მაგრამ ვინც ეს იცოდა, ისიც კარგად უწყოდა, რომ ბაზრის დირექტორი, თუ მაღაზიის გამგე, „გადასახადს“ იხდიდა და მფარველებიც ჰყავდა, უბრალოდ, ყველაფერ ამას ისეთი მასშტაბები არ უნდა მიეღო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ყოფილიყო უკმაყოფილო და საჩივარი საჩივარზე შესულიყო. ამიტომ, იაფი და ხარისხიანი პროდუქტი ყურადსაღები ამბავი გახლდათ, ერთ-ერთ მოქალაქეს საჩივარი მარტივად დააწერინეს და საქმეც აღიძრა.

ორკვირიანი თვალთვალის შემდეგ, დადგინდა, რომ ასეთი ადგილი თბილისში მხოლოდ ერთი არ იყო, იაფი პროდუქტი კიდევ ორ ობიექტზე იყიდებოდა და რაც მთავარია, ყველა შემთხვევაში, მომმარაგებელი ერთი და იგივე პიროვნება გახლდათ. ეს პიროვნება კი, ოფიციალურად, ერთ-ერთი სკოლის დარაჯად მუშაობდა. მას ოპერმუშაკები კუდზე დაასხდნენ, ყოველ გადაადგილებას აკონტროლებდნენ და მალე ხელთ ჰქონდათ იმ 13 სკოლის სია, საიდანაც დარაჯს საკვები პროდუქტები მოჰქონდა. მას ყველა სკოლაში მარტივად უშვებდნენ და რაც მთავარია, აბსოლუტურად ყველა სკოლის „ზავხოზი“ ესწრებოდა პროდუქტების მის მანქანაში ჩატვირთვას ანუ ყველაზე კარგ ვარიანტში, „ზავხოზმა“ იცოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ დირექტორის თანხმობის გარეშე, ასეთი რამის გაკეთება, წარმოუდგენელი იყო, თუმცა ისიც წარმოუდგენელი იყო, რომ 13 სკოლის დირექტორმა ერთმანეთში მოილაპარაკა, დანაშაულებრივი სქემა შექმნა და, პრაქტიკულად, ერთგვარი სინდიკატი ჩამოაყალიბა. ამას საბჭოთა ხელისუფლება არ და ვერ აღიარებდა, მაშინ ხომ ყველაფერი კონტროლდებოდა და მძიმე დანაშაულები, მით უმეტეს. გარდა ამისა, დანაშაულებრივი სინდიკატი არ არსებობდა, ყველაფერი ეს იმალებოდა და იფუთებოდა.

თვალთვალი გაგრძელდა და საბოლოო ჯამში, დადგინდა, რომ ყველაფერს მხოლოდ ერთი ადამიანი კურირებდა და სწორედ ის „ატერორებდა“ სკოლის დირექტორებს. ჰო, „ატერორებდა“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იბარებდა და ეუბნებოდა, რომ მას ჰქონდა ძალა და ბერკეტები (მართლაც ჰქონდა), ამა თუ იმ სკოლის დირექტორი, თანამდებობიდან გაეშვა. ეს რომ არ მომხდარიყო, სკოლის ხელმძღვანელს თვალები უნდა დაეხუჭა სასადილოებიდან პროდუქტების გატანაზე და მეტიც, უნდა დაედასტურებინა, რომ პროდუქტები... გაფუჭდა. ვინ არ დაიჯერებდა, რომ საკვები პროდუქტები ფუჭდებოდა მაშინ, როცა ხან მაცივარი „გამოდიოდა მწყობრიდან“, ხან ბავშვები „არ ყიდულობდნენ“ უკვე გამზადებულ ფუნთუშას, თუ კატლეტს... სინამდვილეში, მაცივარიც გამართულად მუშაობდა და ბავშვებიც ყველაფერს ყიდულობდნენ, მაგრამ „გაფუჭებული“ და „ჩამოწერილი“ პროდუქტები სწორედ იმ „გარაჟებში“ მიდიოდა, საიდანაც შემდეგ მოსახლეობა იაფად იძენდა, სკოლას კი ახალ პროდუქტს აწვდიდნენ. რეალურად, ბავშვების ჯანმრთელობას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ სახელმწიფო ქონების უხეში დატაცება სახეზე იყო.

„13 დირექტორიდან ორი შევარჩიეთ, ერთი – ქალბატონი, მეორე – მამაკაცი. სწორედ მათ უნდა დაედოთ ხელი მთავარი დამნაშავისთვის, სამინისტროს წარმომადგენლისთვის, რომელიც მათ მოხსნით ემუქრებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მამაკაცი მალე გამოტყდა, ქალმა კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

დაკითხვაზე ქალმა არაფერი იმიტომ არ თქვა, რომ დარწმუნებული გახლდათ, მას, ვინც ამ ყველაფერს ატრიალებდა, „ზემოთ“ მფარველები ჰყავდა, მამაკაცმა კი ალალად თქვა, თანამდებობის დაკარგვის მეშინოდა და ამიტომ გავჩუმდიო. სწორედ მისი ჩვენება წააკითხეს სხვა დირექტორებს. უფრო ზუსტად, ჯერ ერთს, ხოლო მისი აღიარების შემდეგ, უკვე ორი ჩვენება მომდევნო დირექტორს და ასე, ბოლომდე, 12 ჩვენება იდო საქმეში, ქალი კი ისევ არ ტყდებოდა, თუმცა როცა მიხვდა, რომ მის გარდა, ყველამ ხმა ამოიღო, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და „გარისკა“. ახლა, მთავარი იყო, ყველაფერ ამის ორგანიზატორი აეყვანათ ფაქტზე და ამიტომ, ერთ-ერთ დირექტორს პროდუქტის გაცემაზე უარი ათქმევინეს. მაღაჩინოსანი სკოლაში თავად მივიდა, დირექტორის კაბინეტში დაუკაკუნებლად შევარდა და მაგიდაზე მუშტების ბრახუნი დაიწყო. სავარაუდოდ, სიბრაზისგან ვერც კი შეამჩნია, რომ კაბინეტში საკანცელარიო კარადა ცოტა უცნაურად იდგა, მაგრამ როცა კარადის უკნიდან ორი ოპერმუშაკი გამოვიდა, ყველაფერს მიხვდა, თუმცა იხტიბარი არ გაიტეხა, ჩუმად ჩაილაპარაკა, არც კი იცით, ვის იჭერთო.

დაკავებულს 13 დირექტორი ადებდა ხელს და გამოძრომა შეუძლებელი გახლდათ. ყველაზე საინტერესო ამ საქმეში კი ის იყო, რომ დაკავებულს „კრიშა“ არ ჰყავდა, სქემა თავად მოიფიქრა, თავად განახორციელა და შემოსავალსაც სრულად თავად იჯიბავდა. ფართო მასშტაბები პროცესმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიიღო, თორემ მანამდე, ორი წელი, მცირე ოდენობით მოპარვას ყოველთვის ახერხებდა და მთავარ დამხმარეს სამეზობლოში, უბანში აყიდვინებდა. შემდეგ კი, მადა ჭამაში მოვიდა და ერთ სკოლას მეორე მიემატა, მეორეს – მესამე, მეოთხე და საჭირო გახდა ავტოფარეხის ქირაობა, შემდეგ მეორე ავტოფარეხის დაქირავება და როგორც მოგვიანებით დაკავებულმა თქვა, სამომავლოდ, 30 სკოლის დირექტორთან აპირებდა „შეთანხმებას“ და ეს სავსებით საკმარისი იქნებოდა, მშვიდად რომ ეცხოვრა.

„ყველაზე მეტად იმის მეშინოდა, რომ სასამართლოზე დახვრეტა არ მოეთხოვათ. საერთო ჯამში, ასი ათას მანეთზე მეტი ზარალი გამოდიოდა ანუ განსაკუთრებით დიდი ოდენობა, რაც დახვრეტისთვის სავსებით საკმარისი იყო. როცა ჩემი შიში დაკავებულს გავუზიარე, არ დაიჯერა, რა ასი ათასი, მაგის ნახევარიც არ ამიღიაო და ეგებ, მართალიც იყო, მალფუჭებად პროდუქტებს ხომ მართლაც იაფად ჰყიდდა, მაგრამ სახელმწიფო იმას კი არ ანგარიშობდა, ვინ რამდენში ჰყიდდა მოპარულს, არამედ იმას, ვინ რამდენს იპარავდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სასამართლო პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა და არც პროკურორს მოუთხოვია დახვრეტის მუხლი, თუმცა მოსამართლემ დამნაშავე დაანამუსა, შენი შვილებიც ხომ მოსწავლეები არიან, არ გრცხვენია, მათ რომ ჰპარავდიო, თუმცა... საბოლოო ჯამში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის, ბრალდებულს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და... ეს განაჩენი მაშინ ნამდვილი გამარჯვება იყო.

## კახეთის პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1975 წელს დაბადებული გ.ხ. დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში წარმოშობილი კონფლიქტის შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, დიდი ხნის ნაცნობს, 1969 წელს დაბადებულ ჟ.ტ.-ს ბლაგვი საგნით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა. გ.ხ.-მ, კვალის დაფარვის მიზნით, ქალის ცხედარი მდინარეში გადააგდო, თავად კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

## ვახტანგ გომელაური ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს – რაჟდენ კუპრაშვილს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ანტიკორუფციული ბიუროს ახლადდანიშნულ უფროსთან, რაჟდენ კუპრაშვილთან გაცნობითი შეხვედრა გამართა. ვახტანგ გომელაურმა ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ბიუროს სამომავლო გეგმებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებზე. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელების პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ანტიკორუფციული ბიუროს თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, ასევე, თანამშრომლობის ფორმატისა და კოორდინაციის მექანიზმების ჩამოყალიბებაც განიხილეს. ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სამინისტროსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და მუდმივად ხდება ანტიკორუფციული მიმართულებით თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა უწყებებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი და სამომავლო გეგმები დასახეს.

## ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობისა და არასრულწლოვანი შვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე ბრალდებულს უვადო პატიმრობა მიესაჯა

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე ბრალდებულს, უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათი ცნობით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2022 წლის 4 სექტემბერს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოდბეში, საცხოვრებელ სახლში, ბრალდებულმა მეუღლეს სანადირო თოფით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, მიყენებული ჭრილობების შედეგად, დაზარალებული 2022 წლის 23 ნოემბერს გარდაიცვალა. ასევე, ინფორმაციის თანახმად, გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა თავის არასრულწლოვან შვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

**„პროკურატურამ დანაშაულის ჩამდენ პირს ბრალდება დამამძიმებელ გარემოებებში, შეუწყნარებლობის მოტივით, გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობისა და წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ ძალადობის ფაქტებზე წარუდგინა.**

**2023 წლის 29 მაისს, სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პრიმა 109-ე მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, გენდერის ნიშნით, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ) და 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა) და სასჯელის სახედ და ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“,** – ნათქვამია ინფორმაციაში.

## უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალის მკვლელობა საგარეჯოში – პროკურატურამ დაკავებულს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ საგარეჯოს რაიონში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 20 მაისს, ბრალდებული ყაზახეთის რესპუბლიკიდან საქართველოში ჩამოვიდა მეგობარ ქალთან ერთად და დაბინავდა სასტუმროში.

**„ბრალდებულისთვის ცნობილი იყო, რომ ქალს ავტომანქანა უნდა შეეძინა და ინახავდა თანხას. ბრალდებულმა ხსენებული თანხის დაუფლების მიზნით, 21 მაისს, მეგობარი ქალი თბილისიდან მოტყუებით წაიყვანა კახეთში და მდინარე იორის დამბასთან, თავში აგურის ჩარტყმით მოკლა.**

**ბრალდებულმა, კვალის დაფარვის მიზნით, ქალის გვამი მდინარე იორში გადააგდო, თავად კი დაეუფლა მის მობილურ ტელეფონს და თანხას – 7 100 აშშ დოლარს.**

**სამართალდამცველებმა ბრალდებული 24 მაისს დააკავეს, მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ანგარების მოტივით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა“,** – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორაციაში.

# კვარაცხელია უკვე გაყიდულია

სიმონე ბრალია ვეტერანი იტალიელი მეკარეა, რომელმაც კარიერის საუკეთესო წლები „ჯენოასა“ და „პერუჯაში“ გაატარა, ახლა კი საფეხბურთო აგენტი გახლავთ. ჰოდა, გასულ კვირას, სწორედ მან განაცხადა, ხვიჩა კვარაცხელიას გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი, სჯობს, ჩაცხრეს, რადგან ქართველი ფეხბურთელი უკვე გაყიდულია და ის კარიერას პრემიერ-ლიგაში გააგრძელებსო. მას არ დაუსახელებია, კონკრეტულად, რომელ ინგლისურ კლუბში გადავა კვარა, მაგრამ ის, რომ ქართველის მიმართ ინგლისიდან ინტერესი იყო, ჩვენც არაერთხელ დაგვიწერია. ამ განცხადების მიუხედავად, „ნაპოლის“ პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი ამბობს, რომ კვარაცხელია ხელშეუხებელ ფეხბურთელთა სიაშია და მის გაყიდვას არ აპირებს. დე ლაურენტისი ასე ვიქტორ ოსიმენზეც ამბობს, მაგრამ გასულ კვირას, ვიქტორი გერმანიაში ნახეს. მიუნხენის „ბაიერნი“ ახალი თავდამსხმელის ძიებაშია და გერმანიაში ოსიმენის გამოჩენა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ფეხბურთელების გარდა, გუნდიდან ლუჩანო სპალეტის წასვლაზეც სერიოზულად საუბრობენ. მეტიც, დაბეჯითებით წერენ, რომ კლუბის პრეზიდენტს სპალეტის სავარაუდო შემცვლელი უკვე შერჩეული ჰყავს და მოლაპარაკებას ორ სპეციალისტთან აწარმოებს. იტალიელი ჟურნალისტების მტკიცებით, დე ლაურენტისის მთავარი მთხოვნა ის გახლავთ, რომ გუნდი ხვიჩა კვარაცხელიას გარშემო უნდა აეწყოს და მთავარი ვარსკვლავიც ის უნდა იყოს, რადგან... პრაქტიკულად, გამორიცხულია, დე ლაურენტისმა ოსიმენის შენარჩუნება მოახერხოს.

# ანჩელოტიმ ხელი მამარდაშვილს დაადო – ვინიციუსს ის ახრჩობდა

ვალენსია-რეალის დაპირისპირება ესპანეთში კვლავ განსჯის საგანია. შეხვედრის მიწურულს, სტუმართა ბრაზილიელმა ფორვარდმა, ვინიციუს ჟუნიორმა ჯერ ტრიბუნებისკენ გაიწია, რასისტული შეძახილი გავიგონეო, შემდეგ კი, „ვალენსიას“ ფეხბურთელებთან მოუვიდა უთანხმოება. ეს ყველაფერი „ვალენსიას“ საჯარიმოში ხდებოდა და საქმეში გიორგი მამარდაშვილიც ჩაერთო – ქართველი მეკარე მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა და გაწევ-გამოწევაში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. შეხვედრის არბიტრმა გადაწყვეტილების მისაღებად VAR-ს მიაშურა და მომენტი განმეორებით ნახა, რის შემდეგაც ვინიციუსი გააძევა.

ყველაზე საინტერესოც ამის შემდეგ დაიწყო – ნამატჩევს გაირკვა, რომ VAR-ის მომსახურე პერსონალმა, მსაჯთა ბრიგადის ხელმძღვანელის, იგლესიას ვილანუევას მითითებით, შეხვედრის მთავარ არბიტრს არ უჩვენა მომენტი, როცა ვინიციუსს ყელში უგო დურო სწვდა, რის შემდეგაც უკვე ბრაზილიელმაც გამოიღო ხელი ანუ აღნიშნული მომენტი შეგნებულად დამალეს და ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, შეხვედრის მომსახურე ექვსივე მსაჯი სამსახურს დაკარგავს.

**„მე მომენტი კარგად დავინახე, ვინიციუსს ჯერ „ვალენსიას“ მეკარე ეცა და ახრჩობდა, შემდეგ – უგო დურო“,** – განაცხადა მატჩის შემდგომ „რეალის“ თავკაცმა, კარლო ანჩელოტიმ.

ვინიციუსს წითელი ბარათი გაუუქმეს და არც სხვა ფეხბურთელების დასჯა იგეგმება, თუმცა უშუალოდ „ვალენსია“ 48 ათასი ევროთი და ხუთმატჩიანი პირობითი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. თუ ანალოგიური რამ უახლოეს ექვს თვეში კიდევ განმეორდება, „ღამურებს“ ხუთი საშინაო შეხვედრის ჩატარება გულშემატკივრის გარეშე მოუწევთ. ისე, უშუალოდ მატჩს რაც შეეხება, „ვალენსიამ“ 1:0 მოიგო, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ კი მამარდაშვილი დასახელდა. ქართველმა მეკარემ ურთულესი ბურთები მოიგერია და საკუთარი გუნდის გამარჯვება პირადად უზრუნველჰყო.

# კალაძის ნაკვალევზე – „მილანს“ მიქაუტაძე სურს

საფრანგეთის მეორე დივიზიონის დასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი და უდიდესი ალბათობით, უმაღლესი დივიზიონის საგზურს „ლე ავრი“ და გიორგი მიქაუტაძის „მეცი“ მოიპოვებენ. ბოლოს წინა ტურის მდგომარეობით, მეორე ადგილზე ზურიკო დავითაშვილის „ბორდო“ იყო, თუმცა ჟირონდიელები მოულოდნელად დამარცხდნენ და „მეცს“ ადგილი გაუცვალეს. ჰოდა, ძნელად სავარაუდოა, „მეცმა“ ბოძებული შანსი ბოლო ტურში გაანიავოს.

მიმდინარე სეზონში, ყველა ტურნირზე, მიქაუტაძემ 36 შეხვედრაში, 24 გოლი გაიტანა, 8 საგოლე გადაცემა შეასრულა და ბომბარდირობასაც არავის დაუთმობს, თუმცა თავად გიორგიც და კლუბის ხელმძღვანელობაც ხვდება, რომ ქართველის შენარჩუნება მომავალი სეზონისთვის წარმოუდგენელი იქნება. ამიტომ, ფრანგები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მიქაუტაძე, რაც შეიძლება, ძვირად გაყიდონ. ის, რომ ჩვენებურის გადაბირება ინგლისურ პრემიერ-ლიგაში აღზევებულ „ბარნლის“ სურს, არაერთხელ თქმულა. კლუბის თავკაცი ვინსან კომპანი, მიქაუტაძეს რამდენჯერმე პირადადაც ესაუბრა, თუმცა ახლა საქმეში „მილანი“ ჩაერთო. კლუბის სპორტულმა დირექტორმა, პაოლო მალდინიმ დაადასტურა, რომ მიქაუტაძეს დაურეკა და ესაუბრა. „როსონერის“ ლეგენდას სურს, ქართველი „მილანში“ იხილოს და მის სანაცვლოდ, 10 მილიონ ევროსაც ჩამოდის. რაც მთავარია, „მეცს“ იტალიური კლუბის წინადადება უფრო ხიბლავს, ვიდრე ინგლისურის, რადგან თუ მიქაუტაძე „მილანთან“ კონტრაქტს გააფორმებს, ხელშეკრულებაში ჩაიწერება პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ქათველი თავდამსხმელი მომავალ წელსაც „მეცში“ გაატარებს, ოღონდ როგორც „მილანის“ ფეხბურთელი და იჯარის წესით. ფრანგულ გუნდს იმედი აქვს, რომ უმაღლესში დაბრუნების შემდეგ, მთავარი მიზანი უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება იქნება და მიქაუტაძე ამ საქმეში უნდა დაეხმაროს, თუმცა რამდენად აწყობს ეს ვარიანტი თავად გიორგის, ძნელი სათქმელია.

# ქუბრიაშვილი დასაჯეს და... კარიერა დაასრულა

ფრანგული „კლერმონის“ ქართველი ლეგიონერი, დავით ქუბრიაშვილი საფრანგეთის რაგბის სადისციპლინო კომიტეტმა 11-კვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. როგორც გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, 13 მაისს, „ბაიონასთან“ შეხვედრის დროს, ის მსაჯს „არასათანადოდ მოეპყრო“ და შეურაცხყოფა მიაყენა. თავდაპირველად, სადისციპლინო კომიტეტმა 12-კვირიანი დისკვალიფიკაცია გამოწერა, მაგრამ ქუბრიაშვილი სხდომას ესწრებოდა, დანაშაული მოინანია და ერთი კვირა ჩამოაკლეს, მაგრამ ისე ჩანს, „ბაიონასთან“ შეხვედრა ვეტერანი მორაგბის კარიერაში ბოლო იყო.

**„მოვიდა დრო, რათა პროფესიულ რაგბის მოთამაშის რანგში დავემშვოდობო. მინდა, ყველა იმ ადამიანს, რომელსაც რაგბიში მოედანზე, თუ მის მიღმა შევხვდი, მადლობა გადავუხადო“,** – დაწერა ქუბრიაშვილმა სოციალურ ქსელში.

ცნობისთვის, დავითს ტომ-14-ში, 214 მატჩი აქვს ჩატარებული და მამუკა გორგოძის, დავით ზირაქაშვილისა და გოდერძი შველიძის შემდეგ, მეოთხე ქართველია, ვინც ტომ-14-ში, 200-მატჩიან ნიშნულს გადააბიჯა. ეროვნულ ნაკრებში კი მის ანგარიშზე 47 შეხვედრაა.

# ყოჩაღ, შერმადინი! – გიორგი ესპანეთის ჩემპიონატის MVP გახდა

ცხონებული ჯამლეტ ხუხაშვილი თავისი შეგირდის კარგ თამაშზე ომახიანად ამბობდა ხოლმე – ყოჩაღ, შერმადინი! და მართლაც, გიორგის აღმზრდელის იმედები არასოდეს გაუცრუებია. ორიოდე დღის წინ, საქართველოს ნაკრების წევრი, ესპანური „ტენერიფეს“ ლიდერი, ესპანური ლიგის წლის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. ამის შასახებ მან თვითმფრინავში გაიგო, როცა MVP-ის პრიზი გადასცეს და მთელმა გუნდმა ტაშით დააჯილდოვა.

საინტერესოა, რომ ესპანური ლიგის ოფიციალურ დაჯილდოვებამდე, გამოქვეყნდა გულშემატკივრების გამოკითხვის შედეგები, სადაც პირველობა ასევე შერმადინს ერგო, რამდენიმე დღის შემდეგ კი, გულშემატკივართა არჩევანს, ესპანეთის ჩემპიონატის მოთამაშეები და მწვრთნელებიც დაეთანხმნენ.

# რეალი-ბარსელონა – „ელ კლასიკო“ აღარ იქნება

მადრიდის „რეალისა“ და კატალონიური „ბარსელონას“ დაპირისპირება საუკუნეზე მეტს ითვლის. კლუბებმა ერთმანეთში, საერთო ჯამში, 254 ოფიციალური შეხვედრა გამართეს, საიდანაც 102 დედაქალაქელებმა მოიგეს, 100 – კატალონიელებმა, 52 მატჩი კი ფრედ დასრულდა. საფეხბურთო სამყარო ამ გრანდების ჯახს ყოველთვის მოუთმენლად ელის და „ელ კლასიკოდ“ მონათლული შეხვედრა, მილიონობით გულშემატკივრის ინტერესს იწვევს.

ჰოდა, ესპანეთის ლა ლიგას ხელმძღვანელებმა, ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მარკეტინგული თვალსაზრისით, როგორც „რეალს“, ისე „ბარსელონას“, ტერმინის – „ელ კლასიკოს“ გამოყენება და მით უმეტეს, კლუბის სიმბოლიკაზე მისი დატანა აეკრძალათ. საქმე ის გახლავთ, რომ ამ სახელწოდებაზე პატენტს სწორედ ლა ლიგა ფლობს და ორგანიზაციას სურს, მისი გამოყენებისთვის, ორივე კლუბმა ფული გადაიხადოს. გადაწყვეტილებამ კლუბების ხელმძღვანელობა აღაშფოთა და ისინი ამბობენ, რომ მას აუცილებლად გაასაჩივრებენ, თუმცა ძალიან ძნელი იქნება სასამართლოს დარწმუნება იმაში, რატომ უნდა წაართვან ლა ლიგას სახელწოდება, რომელიც დიდი ხანია დაპატენტებული აქვს, „რეალისა“ და „ბარსას“ ბოსებს კი ამის გაკეთება თავში აზრად არ მოსვლიათ.

# ერთი ფოტოს ისტორია

შესაძლოა, აღნიშნული ფოტოს ხარისხი უკეთესის სურვილს ტოვებს, რადგან ტელევიზორიდან არის გადაღებული, მაგრამ ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს, კარგად იკითხება. ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრაში, რომელშიც „მალიორკა“ „ვალენსიას“ მასპინძლობდა, სტადიონის სარეკლამო ბანერებზე, 90 წუთის განმავლობაში, რუსული რეკლამა წარმატებით გადიოდა.

საქმე ის გახლავთ, რომ რუსულ კლუბებსა და ნაკრებებს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა, როგორც უეფამ, ისე ფიფამ ოფიციალურად აუკრძალა. აკრძალვას შეუერთდა ყველა ფედერაცია და რაც მთავარია, ესპანეთი ის ქვეყნაა, რომელიც რუსეთზე დაწესებული სანქციების მომხრეა და მხარს ოფიციალურ დონეზე უჭერს. ჰოდა, როცა ასეთ ამბებში ხარ, როცა აპროტესტებ და ამბობ, რომ ყველაფერი რუსული უნდა დაგმო, ოფიციალურ შეხვედრაში, სარეკლამო ბანერებზე რუსული რეკლამების გაშვება და ფულის კეთება ლოგიკაში რამდენად ჯდება, თავად განსაჯეთ.

# „ავანტიურისტული ბუნების ადამიანია, ძალიან მოქნილი და იცის, ვისთან, როგორ ილაპარაკოს“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

## როგორ მოიგო ერდოღანმა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური – მამუკა არეშიძის შეფასებები

**თურქეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა გაიმარჯვა. მისმა მეტოქემ, ქემალ ქილიჩდაროღლუმ ხმების 47.86% მოაგროვა. თურქეთის არჩევნები მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა, რადგან მედია იუწყებოდა, რომ ერდოღანის მეტოქე, ექვსი ოპოზიციური პარტიის მიერ წარდგენილი კანდიდატი, ქილიჩდაროღლუ მკვეთრად გამოკვეთილი პროდასავლური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ფიგურაა და მისი გამარჯვება დიდ ცვლილებებს გამოიწვევდა, როგორც შიდა, ასევე, გლობალურ პოლიტიკურ ვითარებაში. პრესა წერდა, რომ რუსეთს პროდასავლური ორიენტაციის მქონე ქილიჩდაროღლუს გამარჯვება არ აწყობდა, რადგან ერდოღანთან უფრო კომფორტულად ურთიერთობს...**

**შეიცვლება თუ არა რამე საქართველოსთან ურთიერთობის, ან მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის ხელისუფლებაში დარჩენით? – „ვერსია“ კავკასიის საკითხების ექსპერტ მამუკა არეშიძეს ესაუბრა:**

– რომ ვთქვა, სავარაუდო იყო ერდოღანის გამარჯვება-მეთქი, მართალი არ ვიქნები, რადგან თავის დროზე, საქმის სწორად ორგანიზება რომ მოეხერხებინა, ოპოზიციას გამარჯვების რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ დროზე ვერ მოილაპარა იმ ექვსმა პოლიტიკურმა ძალამ და ვერ წარადგინა კანდიდატი. გარდა ამისა, ხელშემშლელი ფაქტორი ისიც იყო, რომ სტამბოლის მერს, რომელიც საუკეთესო საპრეზიდენტო კანდიდატი იქნებოდა ოპოზიციიდან, უფლება შეუზღუდეს, მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. მოკლედ, არჩევნების წინ, ოპიზიციის მდგომარეობის გაუარესება ბევრმა ფაქტორმა განაპირობა.

რასაკვირველია, ერდოღანმა სწორი ნაბიჯები გადადგა, გამოიყენა ადმინისტრაციული რესურსი. როგორც დამკვირვებლები ამბობენ, გამოიყენა ის, რომ არასწორად ორგანიზებული იყო ოპოზიციის დამკვირვებელთა ჯგუფები და საბოლოო ჯამში, იმას მიაღწია, რაც უნდოდა.

**– ბატონო მამუკა, როგორც პრესა წერს, ერდოღანის მოწინააღმდეგე, ქემალ ქირიჩდაროღლუ მკვეთრად გამოკვეთილი პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსია, რომლის გამარჯვებაც რუსეთს არ აწყობდა... ვინ არის ოპოზიციონერი, რომლის გამოც არჩევნების მეორე ტური დაინიშნა?**

– ქემალ ქილიჩდაროღლუ ასაკოვანი პოლიტიკური მოღვაწეა, ის ახალგაზრდობიდან არის გაერთიანებული სახალხო რესპუბლიკურ პარტიაში, რომელიც მყარად დგას ათათურქის იდეოლოგიაზე. მისი ორიენტაცია, რასაკვირველია, დასავლურია, მაგრამ ათათურქის მიერ არის გადადგმული ეს ნაბიჯი – დასავლეთისკენ ორიენტაცია, თუმცა თურქული ინტერესების პრიორიტეტით. აქედან გამომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, ქილიჩდაროღლუს პარტია რომ მოსულიყო ხელისუფლებაში, უფრო მეტად მოუსმენდა დასავლეთს. შეიძლება, რაღაც შეცვლილიყო შიდა პოლიტიკაში, რაც ჩვენ არ გვეხება – დემოკრატიზაციის მაღალ პლატფორმაზე შემდგარიყო... მაგრამ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, იოტისოდენადაც კი არ შეიცვლებოდა არაფერი, განსაკუთრებით, რეგიონული პოლიტიკის თვალსაზირით.

**– რუსეთთან მიმართებაში?**

– რუსეთთან მიმართებაში იქნებოდა ეს, თუ კავკასიასთან... რაც შეეხება რუსეთთან თურქეთის დამოკიდებულებას, რუსული მედია საკუთარი პოლიტიკური ლიდერების ნათქვამს ახმოვანებს და ტრაბახობს, რომ განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ თურქეთთან. სავაჭრო ბრუნვა, მართლაც, ფანტასტიკურად გაიზარდა და არიქა, რა კარგი ურთიერთობა გვაქვს თურქეთთანო, ამბობენ... სინამდვილეში, თურქეთმა ყველაფერი გააკეთა პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსული ინტერესების შესაზღუდად. ყველაფერი გააკეთა, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთთან, სულ მცირე, გაენაწილებინა გავლენები...

**– აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობას გულისხმობთ, არა?**

– დიახ და ზოგადად, რუსული პოლიტიკის მარცხი იმაში მდგომარეობს, რომ ასწლიანი პაუზის შემდეგ, თურქეთი რეგიონში დაბრუნდა სამხედრო პოლიტიკური თვალსაზრისით. 1921 წელს რომ გააგდეს, 2021 წელს დაბრუნდა და ეს რუსეთის პოლიტიკის უზარმაზარი მარცხია, არანაკლები იმაზე, რაც უკრაინაში ხდება.

გარდა ამისა, თურქეთი რუსეთის გავლენას მაქსიმალურად ზღუდავს ცენტრალურ აზიაში. ორი კვირის წინ, თურქულენოვანი ქვეყნების სამიტი გაიმართა, „დიდი ტურანის“ იდეოლოგიის ქვეყნების და იქ ლაპარაკი არა მხოლოდ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე იყო, არამედ, მომავალში სამხედრო პოლიტიკური ბლოკის, ნატოს ანალოგის შექმნაზეც. ასე რომ, თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა, ძირითადად, ეკონომიკურ და ტურისტულ სფეროშია, ასევე, რასაკვირველია, ენერგეტიკაშიც. სადაც თურქეთის ინტერესები დომინანტურია, იქ ცდილობს რუსეთის ინტერესების შეზღუდვას – სირია იქნება ეს, სამხრეთ კავკასია, თუ ცენტრალური აზია... ასე რომ, არავითარი მეგობრული და განსაკუთრებული ურთიერთობა დღეს თურქეთსა და რუსეთს არ აქვთ, უბრალოდ, ინტერესების თანხვედრაა გარკვეულ საკითხებში...

**– როდესაც სრულიად დასავლეთი რუსეთს ემიჯნება და სანქციებს უწესებს, გადამწყვეტად მნიშვნელოვანია ისეთ სახელმწიფოსთან ჰქონდეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, როგორიც თურქეთია და რადგანაც თქვენც ამბობთ, რომ ქილიჩდაროღლუ „მეტად მოუსმენდა დასავლეთს“, ამიტომ რუსეთს ისევ ერდოღანის გამარჯვება ერჩივნა... არ მეთანხმებით?**

– რუსეთს, შეიძლება, ერჩივნა, მაგრამ რუსეთის გამო არ მომხდარა ერდოღანის გამარჯვება. ერდოღანის მოქნილობისა და ბევრი ფაქტორის გამო მოხდა ეს გამარჯვება...

**– რაც შეეხება საქართველოსთან თურქეთის დამოკიდებულებას, ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებას ვკითხულობდი, რომ ოფიციალური ანკარა საქართველოს სუვერენიტეტს აღიარებს და ასე რომ, ერდოღანის ხელისუფლებაში დარჩენით, ჩვენს ქვეყანასთან დამოკიდებულებაში არაფერი შეიცვლება... ეთანხმებით?**

– თუ ეს დიდი პოლიტიკის სიმაღლიდანაა ნათქვამი, კი, შეიძლება ასეც ითქვას, რადგან ჩვენ სტრატეგიული ურთიერთობის დეკლარაცია გვაქვს, მაგრამ ვფიქრობ, ექსპერტული შეფასება ბევრად ღრმა უნდა იყოს...

თურქეთს აქვს თავის ინტერესები, ეს არ ნიშნავს, ცუდია თუ კარგი... თავისი ინტერესებიდან გამოდის და მისი ინტერესია სამხრეთ კავკასიაში ისტორიული გავლენის აღდგენა. დღევანდელი თურქეთის იდეოლოგიაა, დავუთოღლუს მიერ დატოვებული, რომელიც ადრე პრემიერი იყო ერდოღანის მთავრობაში, ეს არის ოსმანისტური იდეოლოგია – ოსმალეთის იმპერიის გავლენების აღდგენა. ამ იმპერიის გავლენის აღდგენა მაინცდამაინც სამხედრო ძალით არ ხდება, არამედ, „რბილი ძალის“ გამოყენებით. საქართველოში სერიოზულადაა წარმოდგენილი თურქული „რბილი ძალა“ სხვადასხვა რეგიონსა და ცენტრშიც. იგივე ხდება რუსეთის ტერიტორიაზეც და როცა ვლაპარაკობთ პოლიტიკურ ისლამთან დაკავშირებით, რატომღაც, ეს ჩვენთან ასოცირდება ან ჩრდილოკავკასიელებთან, ან არაბებთან, მაგრამ ასე არ არის.

პოლიტიკური ისლამი მრავალსახოვანია და ერთ-ერთი წამყვანი ძალა, დაჯგუფების თვალსაზრისით, „ძმები მუსულმანებია“, რომელსაც ახლა განსაკუთრებული გავლენა აქვს თურქეთში. ის ისლამისტური ორგანიზაციები, რომლებიც დღეს ერდოღანს მხარს უჭერენ, ზუსტად ამ „ძმები მუსულმანების“ იდეოლოგიაზეა დაფუძნებული.

თუ მიაქციეთ ყურადღება, საქართველოში ტერორიზმის ბრალდებით რომ დააკავეს ადამიანები, ყველა იყო თურქული წარმოშობის, ან აზერბაიჯანელი, ან თურქი. პირველი შემთხვევაა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი რამ მოხდა და ჩრდილოკავკასიელები არ იყვნენ ამაში გარეულნი, ან ადგილობრივი მუსულმანები.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ საკმაოდ სერიოზული ფაქტორები მუშაობს „რბილი ძალის“ თურქული სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე, მათ შორის, საქართველოში... ასე რომ, ხიფათი არა, მაგრამ გამოწვევები არსებობს ანუ იმაზე არ არის ლაპარაკი, რომ თურქეთი შემოიჭრება სროლით და ტანკებით, მაგრამ ვიცით, მისთვის რამხელა მნიშვნელობა აქვს აჭარას. ის თვლის, რომ აჭარა მისი სხეულის განუყოფელი ნაწილი იყო, რომელიც ჩამოაჭრეს და ამას არ ურიგდება. ეს იდეოლოგია მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ ერდოღანის მთავრობა ამის პედალირებას არ ახდენს, თუმცა შიგადაშიგ გაკვრით ამბობს ხოლმე... ნუ დაგვავიწყდება, რომ როგორც თვითონ ამბობს, მას აქვს ქართული სისხლიც და ეს მომენტი მუშაობს... ასე რომ, გამოწვევები არსებობს და მთიან აჭარაში ვინც აკვირდება ვითარებას, ხვდება, როგორ ცდილობენ თურქები საკუთარი გავლენის განმტკიცებას და უნდა ითქვას, რომ ქვემო ქართლში თურქული, არაბული, აზერბაიჯანული და ირანული გავლენის ჯგუფები ერთმანეთს გააფთრებული ებრძვიან ზუსტად იმიტომ, რომ რაც შეიძლება, უკეთ გაიდგან ფესვები.

**– ბატონო მამუკა, და მაინც, რა ფაქტორის გამო შეინარჩუნა მმართველობა ერდოღანმა? რომ აღარაფერი ვთქვათ დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტესა და ეკონომიკურ ფაქტორებზე, როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ გახდა გარდამტეხი, თუნდაც, მიწისძვრით გამოწვეული ზარალი ოპოზიციის გამარჯვებისთვის?**

– იმიტომ, რომ ერდოღანი პოლიტიკურად ძლიერი ფიგურაა. საქართველოს სამეზობლოში, რუსეთის ჩათვლით, არ მეგულება ასეთი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა. ავანტიურისტული ბუნების ადამიანია, მაგრამ ძალიან მოქნილი და იცის, ვისთან, როგორ ილაპარაკოს. არაერთხელ მითქვამს, ერდოღანს შეუძლია, დილით ისლამისტებს ელაპარაკოს მათ ენაზე, საღამოს – ნაციონალისტებს და პრობლემა არ შეიქმნება. მან მოახერხა ის, რაც ვერავინ მოახერხა უახლეს წარსულში – ისლამისტები და ნაციონალისტები ერთი ქოლგის ქვეშ გააერთიანა, სათავისოდ.

ეს ვერ მოახერხა ოპოზიციამ. ოპოზიციამ ვერ გამოიყენა მიწისძვრის ფაქტორი. თავის დროზე, ერდოღანი ზუსტად იმ ფონზე მოვიდა ხელისუფლებაში, როცა 1999 წელს, იგივე ტიპის მიწისძვრა მოხდა თურქეთში და იმის შედეგებზე მთავრობის რეაგირების კრიტიკას მოჰყვა ერდოღანის პირველი გამარჯვება. ახლა კი იგივე სიტუაცია ვერ გამოიყენა ოპოზიციამ, რადგან გადაყვნენ შიდასიტუაციურ დალაგებას...

## ყველაზე ძვირადღირებული კარტოფილი მოჰყავთ

კუნძულ ნუარმუტიეზე, რომელიც საფრანგეთის ატლანტის სანაპიროსთან მდებარეობს, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კარტოფილი მოჰყავთ. ეს ბოსტნეული – Le Bonnotte საფრანგეთში დელიკატესად ითვლება. ესაა იშვიათი ჯიში, რომელსაც სახელი ადგილობრივი ფერმერის, ბენუა ბონოტას პატივსაცემად დაერქვა. კარტოფილი ტრადიციული მეთოდით მოჰყავთ – ხელით თესავენ და ხელითვე იოღებენ მოსავალსაც. მისი მაღალი ღირებულება მცირე რაოდენობით, მოსავლის აღების ხანმოკლე პერიოდით, უნიკალური გემოთი და მასზე დიდი მოთხოვნით არის განპირობებული. Le Bonnotte-ს ერთი კილოგრამის ფასი 500-დან 100 ევრომდეა, რაც მოსავლის რაოდენობაზეა დამოკიდებული. ყველაზე ძვირადღირებული კარტოფილი, ჩვეულებრივ, გოლფის ბურთზე დიდი ზომის არაა და თხელი კანი აქვს. კარტოფილს, ძირითადად, ხარშავენ და მხოლოდ კარაქითა და ზღვის მარილით კმაზავენ.

## ობობას ქანდაკება რეკორდულ ფასად გაყიდეს

Sothbey's -ს აუქციონზე, გიგანტური ობობას ბრინჯაოს ქანდაკება რეკორდულ ფასად – 32.8 მილიონ დოლარად გაიყიდა. CNN-ის ცნობით, ამ ქმნილების ავტორი ლუიზ ბურჟუაა. ბრინჯაოში ჩამოსხმული მწერის სიმაღლე 3 მეტრია, სიგანე კი – 5.5 მეტრი. ქანდაკებამ აუქციონზე ორი რეკორდი დაამყარა: ეს ავტორის ყველაზე ძვირადღირებული ნამუშევარია (მისი წინა რეკორდი 31.2 მილიონი დოლარი იყო) და ამასთან, ბურჟუა ყველაზე ძვირადღირებული მოქანდაკე გახდა, რომლის ნამუშევრებიც აუქცონზე ყოფილა გატანილი. ლუიზ ბურჟუა პარიზელია, თუმცა, სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მან ნიუ-იორკში გატარა, სადაც სახელი გაითქვა უჩვეულო ინსტალაციებით. მისი მონუმენტური ქანდაკებები თანამედროვე ხელოვნების ცნობილ მუზეუმებშია გამოფენილი. ლუიზ ბურჟუამ ხანგრძლივი სიცოცხლე განვლო, ის 2010 წელს, 98 წლის ასაკში გარდაიცვალა.

## სახლის საქმეებს აპლიკაცია გაანაწილებს

ესპანეთში, თანასწორობის საკითხების სამინისტრო, ზაფხულში ახალ მობილურ აპლიკაციას გაუშვებს, რომელიც ოჯახის წევრებს შორის, სახლის საქმეებს სამართლიანად გაანაწილებს. აპლიკაციაში თითოეული მათგანი შეძლებს, თავისი შესრულებული საქმის მონაცემების შეტანას. ახალ პროგრამაში გათვალისწინებულია არა მხოლოდ ფიზიკური სამუშაო, არამედ – ინტელექტუალურიც. მაგალითად, საყიდლების სიის შედგენა, ერთი დღისთვის კერძების არჩევა და პროდუქტების გასაკეთებლად მომზადება. ყველა ეს ამოცანა, მათ შორის, გონებრივიც, ყოველთვის ქალს აწევს ტვირთად – ასეთია გამოკითხვის შედეგები.

„სუსტი სქესის წარმომადგენლები, მთლიანობაში, გაცილებით მეტ დროს ხარჯავენ სახლის საქმეებზე, ვიდრე მამაკაცები. ყველა, ვისაც გაანაწყენებს ეს აპლიკაცია, სინამდვილეში, გაბრაზდება იმაზე, რომ მოუწევს საკუთარი წვლილი შეიტანოს საყოფაცხორვებო საკითხების გადაჭრაში“, – აცხადებს თანასწორობის სამინისტროს წარმომადგენელი. მისი თქმით ეს აპლიკაცია არა მხოლოდ ოჯახში იქნება სასარგებლოა, არამედ – სამეზობლოსა და არენდატორებშიც კი.

## უძველესი ბიბლია აუქციონზე გაიყიდა

ბიბლია, რომელიც ათას წელზე მეტს ითვლის, ნიუ-იორკში, Sotheby's-ის აუქციონზე, 38.1 მილიონ დოლარად გაიყიდა. აღსანიშნავია, რომ ეს ივრითზე გამოცემული, მსოფლიოში ყველაზე ძველი და ყველაზე სრული ბიბლიაა. სავაჭრო სახლის მონაცემებით, მისი ასაკი, დაახლოებით. 1.1 ათასი წელია. ბიბლია ყოფილმა ამერიკელმა დიპლომატმა ალფრედ მოზესმა, ამერიკული არაკომერციული ორგანიზაციის სახელით შეიძინა. ორგანიზაცია წიგნს ებრაელი ხალხის მუზეუმს – ANU საჩუქრად გადასცემს.

# ყველა ქვეყანა მოინახულა

ამერიკელმა ტურისტმა მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოინახულა. ბოლოს, მან თურქმენეთში იმოგზაურა. საუბარია სანდიეგოელ რენდი უილიამსზე, რომელმაც ამ შუააზიურ რესპუბლიკაში ჩასვლა მას შემდეგ მოახერხა, რაც ის ტურისტებისთვის გახსნეს. უილიამსი მსოფლიოს იმ 193 ქვეყანაშია ნამყოფი, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან, ასევე, პალესტინასა და ვატიკანში. გარდა ამისა, ამერიკელი ტურისტი სადავო ტერიტორიებზეც ჩავიდა, მათ შორის, ტაინავსა და დასავლეთ საჰარაში. ულიამსი ახლა საგონებელშია ჩავარდნილი, არ იცი, სად დაგეგმოს შემდეგი მოგზაურობა და ხუმრობს კიდეც, დროა, საკუთარი სახელმწიფო შევქმნაო.

# დასასვენებლად საუკეთესო ქვეყნები დაასახელეს

საერთაშორისო პრემია Travellers' Choice Awards-ის შედეგებით, 2023 წელს, საუკეთესო დასასვენებელ ქვეყნად კუბა დასახელდა. „მსოფლიოს მასშტაბით, ტურისტებისთვის ცნობილია, რომ ადგილობრივი კულტურის გასაცნობად, ამ კუნძულს საოცარი შესაძლებლობები აქვს. ჰავანა ძველი მსოფლიოს არქიტექტურისა და თანამედროვე კულტურის ნაერთია. დედქალაქიდან პატარა ტრინიდადში თუ ჩახვალთ, ესპანური კოლონიალური არქიტექტურის უფრო მეტ ნიმუშს ნახავთ", – ნათქვამია ონლაინ-გამოცემა TripAdvisor-ის პუბლიკაციაში. რეიტინგის მეორე და მესამე ადგილები ვიეტნამმა და ინდოეთის ოკეანეში მდებარე კუნძულოვანმა სახელმწიფო მავრიკიმ გაინაწილეს. შემდეგ მოდიან კამბოჯა და ტაილანდი. დასასვენელად საუკეთესო ადგილების სიაში მოხვდნენ კაიმანის კუნძულები, მაროკო, აზერბაიჯანი და ნეპალი. ყველაზე მოთხოვნადი ქვეყნების ათეულს კი პოლონეთი ასრულებს. აღსანიშნავია, რომ რეიტინგს ადგენენ ონლაინ-პლატფორმის საიტზე, მოგზაურების მიერ დატოვებული მილიონობით კომენტარისა და გამოხმაურების შედეგად.

# პენსიონერი საკუთარ თავს მისთხოვდა

77 წლის ამერიკელი პენსიონერი ოჰაიოდან, საკუთარ თავზე გათხოვდა და საოცნებო საქორწინო კაბაც მოირგო. დოტი ფიდელის თქმით, ის მთელი ცხოვრება ოცნებობდა ლამაზ ქორწილზე, თუმცა საქმროს ლოდინში დაიღალა და გადაწყვიტა, საზეიმო ცერემონია მის გარეშე გაემართა. ქორწილის ორგანიზებაში ქალს მოხუცთა თავშესაფარი დაეხმარა, სადაც დოტი ცხოვრობს. პენიონერის თქმით, ის დანიშნულიც იყო 1965 წელს, მაგრამ სამწუხაროდ, ქორწილი არ შედგა. ფიდელის ქალიშვილის თქმით, თავადაც ძალიან მონდომებული იყო, რომ დედის ოცნება აესრულებინა. ცერემონიაზე დოტის მეგობრებიც იყვნენ მიწვეულნი. როგორც ნებისმიერი პატარძალი, დოტიც ნერვიულობდა ამ მნიშნელოვანი დღის წინ, თუმცა ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა. პენსიონერმა შეკრებილებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ მისი ოცნება ასრულდა.

# შენობებს ქაფით გააგრილებენ




გერმანელმა და ჩინელმა სწავლულებმა, ხის ცეცულოზის ნანოკრისტალებისგან სპეციალური ქაფი შექმნეს, რომელიც შენობებს გააგრილებს. სპეციალისტების თქმით, ამ ტექნოლოგიის გამოყენებით, ცხელი კლიმატის რეგიონებში მოსახლეობა დიდ თანხას დაზოგავს საცხოვრებელი სახლების გასაგრილებლად. სახლის სახურავსა და გარე კედლებზე სპეციალური ქაფის დატანით, შენობების კონდიციონერებით გაგრილებისთვის საჭირო ელექტროენერგია 35.4%-ით შემცირდება. სწავლულების მიერ შექმნილი ქაფი ხილული სინათლის 96%-ს ირეკლავს და თან სითბოს 92%-ით ირიდებს თავიდან. ახალი მასალა თეთრი ფერისაა, მსუბუქია და კარგად ინარჩუნებს სიგრილეს. მისი ეს თვისებები მეცნიერებმა ექსპერიმენტებით დაადასტურეს: ქაფი ალუმინის ფოლგით დაფარულ ყუთში მოათავსეს და ცხელ ამინდში, მზის გულზე დადგეს. ქაფის წყალობით, ყუთში ტემპერატურა 9 გრადუსით უფრო დაბალია, ვიდრე მის გარშემო. ექსპერტების თქმით, ქაფის გამოყენება შესალებელია ქალაქების გადახურების წინააღმდეგ.

## მაღაზიაში ნაყიდმა ღვინომ კონკურსი მოიგო

ბელგიაში გამართული პრესტიჟული კონკურსი – Gilbert Et Gaillard, სუპერმარკეტში 2.5 ევროდ ნაყიდმა ღვინომ მოიგო. როგორც ადგილობრივი მედია წერს, საქმე ცნობილი სომელიეს, ერიკ ბოშმანის ექსპერიმენტს ეხება. ქვეყნის საუკეთესო სომელიეს ტიტული მან 1988 წელს მოიპოვა. ერიკმა მაღაზიაში ყველაზე იაფფასიანი ღვინო იყიდა და კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადი შეიტანა, რომლის საფასურიც 50 ევროა. სომელიემ ღვინის ბოთლზე შეცვალა ეტიკეტი და მას ელიტარული ღვინის სახელწოდება – ChꞒteau Colombier შეურჩია. მისმა გუნდმა კონკურსისთვის ღვინის შექმნის მეტად დამაჯერებელი ისტორიაც მოიგონა. კონკურსზე ბოშმანმა უფრო ხარისხიანი ღვინის ლაბორატორიული მონაცემები გაგზავნა, თუმცა ჟიურიმ ის არ შეამოწმა. შედეგად, მაღაზიაში ნაყიდმა იაფფასიანმა სასმელმა პირველი ადგილი და ჟიურისგან – პროფესიონალი სომელიეებისგან კარგი შეფასებებიც დაიმსახურა. მათი თქმით, აქცენტი ღვინის „მდიდარ გემოზე“ გააკეთეს.

## ავსტრიაში სელფის მოყვარულებს შეებრძოლებიან

ტურისტებში ყველაზე პოპულარული ავსტრიული ქალაქის – ჰალშტატის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, მოგზაურების რაოდენობა მკვეთრად შეამცირონ. ამისთვის, მათ ლამაზი სელფების გადაღების შესაძლებლობა მოსპეს. ქალაქის ხელისუფლება, მცხოვრებლებთან ერთად, უკვე დიდი ხანია ცდილობს, ტურისტების დიდ ჯგუფებს გაუმკლავდეს, მაგრამ მათ ქმედებებს შედეგი არ მოაქვს. ამის გამო, მერიაში მიიღეს გადაწყვეტილება, ტურისტებს სელფის გადაღება აუკრძალონ – ეს არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც აქ უამრავი ტურისტი ჩადის. სურათების გადასაღებად ყველაზე მიმზიდველი ადგილები მაღალი ღობით დაფარეს, რაც პეიზაჟების მთელ სილამაზეს მალავს, ტურისტებიც იძულებულნი არიან, შინ ლამაზი ფოტოების გარეშე დაბრუნდნენ და სხვა დროს ჰალშტატში ჩასვლის სურვილიც ეკარგებათ. ქალაქის მერის თქმით, ადგილობრივებს უნდათ, რომ სიმყუდროვეში იცხოვრონ. არადა, აქ ტურისტების ნაკადი უწყვეტია – ქალაქში სულ 800 ადამიანი ცხოვრობს, ჩასულების რაოდენობა კი წელიწადში მილიონს აღწევს.

## თაფლი – გულის შეტევის წინააღმდეგ!

თაფლის სამკურნალო თვისებებს, რაც კაცობრიობისთვის ათასწლეულების განმავლობაშია ცნობილი, კიდევ ერთი მიემატა – ვაშინგტონის უნივერსიტეტის სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ნატურალური შაქარი, რომელსაც თაფლი შეიცავს, გულის შეტევებს აღკვეთს. სპეციალისტების თქმით, შაქარი, რომელიც ტრეგალოზას სახელითაა ცნობილი, ააქტიურებს ცილას, რაც, თავის მხრივ, იმუნური სისტემის სტიმულირებას ახდენს და შედეგად, არტერიებიდან ცხიმის ნადები გამოიდევნება. ეს ნადები, შესაძლოა, ჰიპერტონიის, გულის დაავადებებისა და გულის შეტევის მიზეზი გახდეს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ტრეგალოზას შეიცავს სოკო და ზღვის პროდუქტები.

## მოწევას Y-ქრომოსომის გაქრობამდე მივყავართ



შვედი მეცნიერები სენსაციურ აღმოჩენამდე მივიდნენ – მათ დაადგინეს, რომ მწეველი ადამიანების ორგანიზმის ბევრ უჯრედში, მამაკაცის Y-ქრომოსომები ქრებიან, რასაც შესაძლოა, ონკოლოგიური დაავადებებიც მოჰყვეს. მკვლევარები აცხადებენ, რომ ამ ქრომოსომის დაკარგვა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასაც ამოკლებს. თავგადაკლულ მწეველებში ეს ქორმოსომები, პირველ რიგში, სისხლის უჯრედებში, კერძოდ, ლიმფოციტებში კვდება. ლიმფოციტები იმუნური სისტმის უჯრედებია და ისინი ვეღარ უმკლავდებიან საკუთარ დანიშნულებას – შეებრძოლონ კიბოს უჯრედებს. გარდა ამისა, ეს შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ ფილტვების კიბოს დროს, არამედ, სხვა ორგანოების სიმივნით დაავადებების დროსაც. თუმცა, შვედმა სწავლულებმა ისიც დაადგინეს, რომ თუ ადამიანი მოწევას თავს ანებებს, მისი სისხლის უჯრედები სრულად აღდგება – მათში კვლავ ჩნდება Y-ქრომოსომა.

# ღეროვან უჯრედებს გაყიდიან

მეცნიერთა ჯგუფი, ამომავალი მზის ქვეყნიდან, გეგმავს, გულის კუნთის უჯრედები გაყიდოს, რომელიც ღეროვანი უჯრედებისგანაა მიღებული და მათზე პრეპარატების ტესტირებას აპირებს. ამ იაპონური პროექტის მიზანია, შეამციროს ხარჯები ცხოველებსა და კლინიკურ ცდებზე, რასაც ვალდებულებიდან გამომდინარე, ფარმაცევტული ფირმები ატარებენ იმის დასადგენად, იწვევს თუ არა ახალი პრეპარატები გვერდით მოვლენებს გულის დაავადებების მკურნალობის დროს. როგორც ვარაუდობენ, ღეროვანი უჯრედებიდან მიღებული გულის კუნთის უჯრედები მნიშვნელოვნად შეამცირებს კვლევების ხარჯებს.

# ჩინოვნიკებს რთული ფრაზები აუკრძალეს

ახალი ზელანდიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ჩინოვნიკებს, მოქალაქეებთან კომუნიკაციისას, რთული ლექსიკისა და ვიწრო სპეციალიზაციის ტერმინების გამოყენებას უკრძალავს. ვარაუდობენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მარტივი ენით ნათქვამს უკეთესად გაიგებენ მიგრანტები, დაბალი განათლებისა და ინტელექტის მქონე ადამიანები. ოპოზიციამ „მარტივი ენის კანონი“ გააკრიტიკა და პირობა დადო, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, მას გააუქმებს. პოლიტიკოსები თვლიან, რომ ეს აკრძალვა კიდევ უფრო მეტ ბიუროკრატიას ბადებს – ახლა ჩინოვნიკებს თვალ-ყური უნდა ადევნონ და მათი კომუნიკაცია გააანალიზონ.

# ინგლისური საუზმე ზედმეტი წონისგან დაგიცავთ

ამერიკელმა სწავლულებმა, მისურის უნივერსიტეტიდან, დაადგინეს, რომ ტრადიციული ინგლისური საუზმე შესანიშნავი პროფილაქტიკაა სიმსუქნის წინააღმდეგ და შეუძლია, ეფექტიანად შეეწინააღმდეგოს წონაში მატებას. სპეციალისტების თქმით, საუზმე, რომელიც ბეკონის, სოსისების, ლობიოსა და კვერცხისგან შედგება, მდიდარია ცილებით, ტვინში ზრდის დოპამინის – იმ ჰორმონის დონეს, რომლიც არეგულირებს მადას და პასუხისმგებელია კარგ განწყობაზე. იმ ადამიანებს, რომლებიც დილით არ საუზმობენ, ტვინში დოპამინის დონე დაქვეითებული აქვთ. ამის გამო, მათ შიმშილის გრძნობა აწუხებთ და ბევრ საკვებს მიირთმევენ დღის განმავლობაში, რათა დოპამინის ნაკლებობა აინაზღაურონ და ხასიათიც გაიუმჯობესონ. შედეგად, სახეზე გვაქვს ჭარბი წონა. კვლევებისას, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ მოზარდები, რომლებიც დილით არ საუზმობენ, სიმსუქნისკენ არიან მიდრეკილები.

„ინგლისური საუზმის მოყვარულები, დღის განმავლობაში, ნაკლებად ფიქრობენ საჭმელზე. ტვინში მიმდინარე ქიმიური პროცესების კარგად გათავისებით და მათი როლის გათვალისწინებით მადის რეგულაციაში, შესაძლებელია, სიმსუქნის მკურნალობისა და პროფილაქტიკის დახვეწა“, – ამბობენ ექსპერტები.

# კბილები თვითაღდგენას დაექვემდებარება

ინდოეთის მედიცინის მეცნიერებათს ინსტიტუტის წარმომადგენლებმა სამსჯავროზე ახალი აღმდგენი ტექნიკა გაიტანეს, რომლითაც დაზიანებული კბილის მკურნალობა შესაძლებელია ტკივილისა და დიდი ფინანსური დანახარჯების გარეშე. ტექნიკა SealBio-ის სახელითაა ცნობილი. ის პაციენტის ღეროვანი უჯრედებისა და ზრდის ფაქტორის გამოყენებას გულისხმობს, რაც აღარ საჭიროებს კბილის ღია არხების „დაცემენტების“ საშუალებებით ამოვსებას. ზოგჯერ, ამ ძველი ტექნოლოგიის გამოყენებისას, პრობლემები ჩნდება ბიოშეთავსებადობის მხრივ და ადამიანს გვერდითი ჩვენებები აღენიშნება. ინდოელი სწავლულები გვთავაზობენ ღეროვანი უჯრედების სტიმულირებას, რომლებიც დაზიანებული კბილის ფესვებთანაა განლაგებული. რამდენიმე კვირის, ან ზოგ შემთხვევაში, თვის განმავლობაში, კბილის არხში საკმარისი ქსოვილი ჩნდება და არხი საბოლოოდ იკეტება. ახალი პროცედურა წარმატებით უკვე გამოსცადეს ათობით პაციენტზე. მეთოდი რომ უსაფრთხოა, ეს მასზე ოთხი-ხუთწლიანი მუშაობის დროს უკვე დადასტურდა.

# წამწამების ტუში სიბრმავეს იწვევს?

დიდი ბრიტანეთის თვალის კლინიკების სპეციალისტები აცხადებენ, რომ წამნამების ტუში, შესაძლოა, სიბრმავის წარმოქმნის მიზეზი გახდეს. ის მანდილოსნებს მომნუსხველ გამოხედვასაც ანიჭებს, თუმცა, როგორც ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, ეს კოსმეტიკა სიბრმავის წარმოშობის მიზეზიც შეიძლება გახდეს. კვლევების მიხედვით, ქალები თავს საფრთხეში იგდებენ, როცა ვადაგასულ ტუშს იყენებენ. გამოკითხვებისას, რესპონდენტთა 70%-მა აღიარა, რომ ისე ხმარობდნენ ტუშსა და თვალის ფანქარს, არ იცოდნენ, რომ ვადა რამდენიმე თვის წინ გაუვიდა. მკვლევარებმა ისიც დადგინეს, რომ გამოკითხვაში მონაწილეთა ორი მესამედი ვადაგასულ ტუშს ერთი წლის განმავლობაში იყენებდა. ისეთებიც კი აღმოჩნდნენ, რომლებიც ათი წლის წინ ვადაგასულ კოსმეტიკურ საშუალებებს იყენებდნენ.

გარდა ამისა, რესპონდენტი ქალბატონების 20%-ს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ მაკიაჟის საშუალებებს საერთოდ ვადა ჰქონდა. ვადაგასულ დეკორატიულ კოსმეტიკას, უარეს შემთხვევაში, შეუძლია, ალერგია გამოიწვიოს. თუმცა, სწავლულები აცხადებენ, რომ საქმე გაცილებით რთულადაა. თხევადი სახის კოსმეტიკური საშუალებები ბაქტერიების გამრავლების საუკეთესო წყაროა. მათი გამოყენებით, პათოგენური მიკროორგანიზმებით ინფიცირება ხდება. სპეციალისტები ყველა მანდილოსანს მოუწოდებენ, აუცილებლად შეამოწმონ კოსმეტიკის ვარგისიანობის ვადა და ის თბილ ადგილას არ შეინახონ.

# ქალებს ჰაერის დაბინძურება ასუქებთ

ჰაერის დაბინძურება გავლენას ახდენს ქალების წონაზე, სხეულის მასის ინდექსზე, წელის გარშემოწერილობასა და ცხიმდაგროვებებზე. სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც გამუდმებით სუნთქავენ მცირე ნაწილაკებით, აზოტის დიოქსიდითა და ოზონით, ორგანიზმში ცხიმის შემცველობა – მეტი, ხოლო კუნთოვანი მასა – ნაკლები. ასეთი დასკვნები ამერიკელმა სწავლულებმა გააკეთეს, მიჩიგანის უნივერსიტეტიდან. მათ სხვადასხვა რასის წარმომადგენელი 1.7 ათასი ქალის მონაცემები გააანალიზეს, რომელთაც რვა წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. დაბინძურებული ჰაერის გამო, ქალების სხეულში 5%-ით მეტი ცხიმი დაგროვდა. მკვლევარების განცხადებით, მავნე ატმოსფერული ნაწილაკების გავლენის კომპენსირება ფიზიკური აქტივობითაა შესაძლებელი.

# ბოსტნეულის კაფსულებს ამზადებენ

ისრაელის კომპანია FoodTech ANINA Culinary Art უნიკალურ მზა კერძებს უშვებს, რომელიც ეგრეთ წოდებული, „მახინჯი“ ბოსტნეულისგან, კაფსულების სახითაა დამზადებული. მას მხოლოდ მიკროტალღურ ღუმელში გაცხელება სჭირდება და სადილიც მზადაა. ამ გზით, კომპანია ინოვაციური ტექნოლოგიების, დიზაინის სფეროში გამოცდილებისა და კულინარიის ცოდნის წყალობით, საკვების ნარჩენების შესამცირებლად იბრძვის და გვაჩვენებს, რომ ულამაზო პროდუქტების გადამუშავებით, შესაძლებელია ჯადოსნური და გემრიელი კერძების მომზადება. კაფსულის გარე გარსი გამშრალი ბოსტნეულის, ან ხილისგან შედგება, შიგნითა ნაწილი კი სხვასხვა ნატურალურ პროდუქტს შეიცავს, რომელიც რეცეპტების მიხედვით იცვლება. ერთ-ერთი, ყველაზე პოპულარულია Pasta Primavera (ბოსტნეული, იტალიური ბალახეული და მაკარონი), ასევე, ხმელთაშუა ზღვის ჯამი (ბოსტნეული, ბულგური და შავი ოსპი) და ვიეტნამური ჯამი (ბრინჯის ლაფშა და ბოსტნეული). ყოველი კაფსულა შეიცავს მცენარეულ საკვებს, რომელიც მდიდარია ცილებით, უჯრედისით, საღებავისა და კონსერვანტების გარეშე. ეს ადამიანის კვების დღიური ნორმის 40%-ს შეადგენს. ისრაელში წარმატებული სტარტის შემდეგ, კომპანია მის განვითარებას სხვა ქვეყნებშიც გეგმავს.

# ძვლის ქსოვილის შექმნა შეძლეს

შოტლანდიელმა და ირლანდიელმა სწავლულებმა შეიმუშავეს მეთოდი, რომელიც ძვლების აღდგენაში დაეხმარება ადამიანებს, რომლებსაც კიდურის ამპუტაცია ელით. მკვლევარები სპეციალურ კამერაში უშვებდნენ რყევებს, 20 ნანომეტრის ამპლიტუდით. შედეგად, მათ შეძლეს მოწყობილობის შექმნა, რომელიც ნანოვიბრაციების გენერირებას ახდენს და ატარებს მათ კოლაგენის გელში მყოფ ღეროვან უჯრედებში. უჯრედებს შეუძლიათ დიფერენცირება ოსტეობლასტებად ანუ ძვლის უჯრედებად. ეს უჯრედები ქმნიან ძვლის ქოვილს, რომელიც შემდგომ მოტეხილობებისა და დაზიანებული ძვლის ქსოვილის მკურნალობისთვის გამოიყენება. სწავლულები ამ მეთოდის გამოყენებას მომავალი წლისთვის გეგმავენ და ამ ქსოვილის დახმარებით, პაციენტისთვის ხელის მტევნის აღდგენას აპირებენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.